

სადილი ერაყში დაღუპულ ამერიკელ სამხედრო პირთა ქვრივებთან

A3



გაერთიანების გზაზე

A6



ბებია სიგარით

A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 2005 წელი. №298 (1098)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### "ენერგოსისტემა ზამთრისთვის კარგად მოემზადა"

საქართველოს ენერგოსისტემა ზამთრისთვის მზად არის. ამის შესახებ გუშინ, საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი განცხადებით, საქართველოს ენერგოსისტემაში ჰიდროელექტროსადგურები რეაბილიტირებულია. ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 60 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.

A2

## ეკონომიკა

### "მადნეულისთვის" ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

სულ უფრო ცოტა დრო რჩება იმ დღემდე, როცა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს "მადნეულისთვის" მებრძოლ ორ კომპანიას შორის არჩევანს გააკეთებს. მანამდე კი ორივე კომპანიის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირდებიან და სიტყვიერ ბრალდებებსაც უყენებენ.

A4

## სამართალი

### იუსტიციის სამინისტრო ადვოკატის ბრალდებებს უარყოფს

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

A5

## სამართალი

### ევროსასამართლომ ლევან კენჭაძის საქმე წარმოებაში მიიღო

საქმეს სახელწოდებით - "ლევან კენჭაძე საქართველოს წინააღმდეგ" - უკვე შესაბამისი ნომერი აქვს მინიჭებული.

A5

## ამინდი

| | 27/10 | 28/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 16 |
| ტყიბული | 21 | 14 |
| სოხუმი | 19 | 15 |
| დმანისი | 16 | 8 |
| გორი | 16 | 10 |
| ონი | 13 | 8 |
| ზუგდიდი | 21 | 16 |
| ახმეტა | 20 | 15 |
| გაგრა | 15 | 15 |
| სამტრედია | 21 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1685 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1915 |
| რუბლი | 0.0631 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ეკონომიკა | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


## უკრაინულ იარაღთან დაკავშირებული

# სკანდალის

## ახალი ფაზა და ახალი შეკითხვები



697

26 10 2004

ბრძანება № 353

26.10.04

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

27.10.04

ბრძანება სპეცქონების მიღებაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

*საქართველოს მთავრობის მიერ 8 თვის წინ შეძენილი უკრაინული უვარგისი ქვეითთა საბრძოლო მანქანების ირგვლივ ატეხილი სკანდალი, რის გამოც 21 სექტემბერს თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის ყოფილი სარდალი და სამი მაღალჩინოსანი დააკავეს, ახალ ფაზაში შედის. ამის მიზეზი კი გახდა გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის, პრეზიდენტ სააკაშვილის სამხედრო მრჩევლის ვახტანგ კაპანაძის დაკითხვა სამხედრო პოლიციაში.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*

რა მოხდა 8 თვის წინ სინამდვილეში? ვისი დასტურით შეიძინა ქართულმა არმიამ უვარგისი ტექნიკა და ვის ევალებოდა უკრაინის სახელმწიფო კომპანია "უკრსპეცექსპორტთან" დადებული ხელშეკრულების კონტროლი?

ჩვენ მოვიპოვეთ იმ ბრძანების ამონაწერი, რომელიც დათარიღებულია 2004 წლის 4 ნოემბრით (იხ. ბრძანების ასლი).

გაგრძელება A3 გვერდზე

## შეხვედრა სენატორ მაკკეინთან

ნიკა ლალიძე
*აშშ-დან*

ამერიკელ სენატორებთან შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი უწყება პროკურატურა იქნება. ნოღაიდელის თქმით, საქართველოში უახლოესი 2 წლის განმავლობაში განხორციელდება სასამართლო სისტემის ძალზე ღრმა რეფორმა. მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, საქართველოში ამ რეფორმის შედეგად, სასამართლო სისტემა "ანგლოსაქსური მოდელის" შესაბამისი გახდება. აქამდე საქართველოს სასამართლო სისტემა უფრო კონტინენტურ (ევროპულ) მოდელთან იყო ახლოს.

გაგრძელება A2 გვერდზე



ნოღაიდელმა სენატორ მაკკეინს ნატოს მომავალ სამიტზე მხარდაჭერა სთხოვა.

## რთული თუ მიუღებელი არჩევანი

*ყირგიზეთში უკვე რამდენიმე დღეა, გრძელდება საპროტესტო აქციები, რომლის მონაწილენიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ფელიქს კულოვის გადადგომას მოითხოვენ. ბიშკეკში მთავრობის სახლის წინ შეკრებილი ასობით მომიტინგე კულოვს ჟოგორკა კენეშას (ყირგიზეთის პარლამენტი) წევრის ტინიჩბეკ აკმატბაევის სიკვდილში ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ კულოვის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე აქციების მახლობლად, მეორე, ამჯერად პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერი მიტინგი მიმდინარეობს. გუშინ კი უკვე მესამე აქცია დაიწყო ბიშკეკის ცენტრალურ მოედანზე - მიტაცებული მიწების ჩამორთმევით განაწყენებული მოსახლეობის.*

ნიკა თარაშვილი

თითქმის ერთი კვირაა, ბიშკეკში რამდენიმე ასეული ადამიანი პრემიერ-მინისტრ კულოვის გადადგომის მოთხოვნით ქუჩის აქციებს მართავს. მათ გასულ კვირას სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ბუნტის დროს დაღუპული პარლამენტარის ძმა რისპეკ აკმატბაევი ხელმძღვანელობს. ეს უკანასკნელი ყირგიზეთში კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტად ითვლება და ხვალ სასამართლო პროცესი აქვს, სადაც პოლიციელის მკვლელობისთვის უნდა აგოს პასუხი. კულოვის მომხრეები თვლიან, რომ მოკლული პარლამენტარის ძმა სასამართლო პროცესის წინ ხელისუფლებაზე ზეწოლას ცდილობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოპოზიციის ლიდერები "ბექაურის საქმეს" ჩამოაშორეს

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების მხარდამჭერმა საპარლამენტო გუნდმა გუშინ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დავით გამყრელიძე, კობა დავითაშვილი და დავით ბერძენიშვილი სათავეში არ ჩასდგომოდნენ იმ დროებით კომისიას, რომელმაც ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნეს-ინტერესები უნდა შეისწავლოს. ოპოზიციური ტრიოს საწინააღმდეგოდ მაია ნადირაძემ ფანტასტიკური არგუმენტი მოიყვანა. აღნიშნულმა სამეულმა, თურმე, იმიტომ არ უნდა უხელმძღვანელოს ე.წ "ბექაურის საქმის" შემსწავლელ საგამოძიებო კომისიას, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ხმა არ მისცეს დადგენილებას... რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე.

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც გამყრელიძის, დავითაშვილისა და დავით ბერძენიშვილის საწინააღმდეგოდ დასახელდა, ის არის, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს ბექაურთან დაკავშირებით წინასწარ აქვთ გამოთქმული თავიანთი მოსაზრებები და, ამდენად, საკითხის შესწავლის დროს ობიექტურები ვერ იქნებიან. ეს მიზეზი ოპოზიციას სასაცილოდაც არ ჰყოფნის, რადგან პარლამენტში ძნელად თუ მოიძებნება დეპუტატი, რომელსაც კობა ბექაურის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე თავისი შეხედულება პლენარულ სხდომაზე ან მასმედიასთან საუბარში გამოთქმული არ ჰქონდეს. ამდენად, ამ ლოგიკით, გამოდის, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოძებნა შეუძლებელია.

თუმცა, გუშინ უმრავლესობამ შეუძლებელი მაინც შეძლო: "ბექაურის საქმის" შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ რუხაია დანიშნა. სწორედაც რომ "დანიშნა" და არა აირჩია, რადგან ოპოზიციურმა ფრაქციებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს და დემონსტრაციულად დატოვეს სხდომათა დარბაზი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აფხაზეთში საბიუჯეტო სახსრების მითვისებაში ექვმიტანილი ჩინოვნიკი დააკავეს

ენვერ კუპრავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ფსოუს სასაზღვრო პუნქტზე, ქალაქ სოხუმის ფინანსური განყოფილების ყოფილი უფროსი დაურ კოლონია დააკავეს. საინტერესო ისაა, რომ მისი აყვანა არა საზღვრის გადაკვეთისას, არამედ რუსეთის მხარეს მოხდა, სადაც ის ნათესავებს ელოდებოდა.

კოლონია, რომელიც ფინანსურ განყოფილებას რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და თანამდებობიდან სწორედ საბიუჯეტო სახსრების დატაცების გარშემო ამტყდარი სკანდალის შედეგად იქნა გათავისუფლებული, ეჭვმიტანილია ქალაქის სკოლებისათვის განკუთვნილი დიდძალი თანხების მითვისებაში.

მას შემდეგ, რაც ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ დანაშაულის გამოძიება დაიწყო, მან აფხაზეთი დატოვა და რუსეთში იმყოფებოდა.

გამოძიების მონაცემებით, ორი წლის განმავლობაში დედაქალაქის ადმინისტრაციის რიგი თანამშრომლები, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით, სკოლების შესაკეთებლად გამოყოფილ თანხებს ითვისებდნენ. შსს-ს მონაცემებით, ორი წლის განმავლობაში 160 ათას დოლარზე მეტი იქნა დატაცებული. უცნობია, მუშაობდა თუ არა იგივე სქემა წინა წლებში.

გამოძიების დასაწყისში, დედაქალაქის განათლების სამმართველოს მთავარი ბუღალტრის მეშვეობით 20 ათას დოლარამდე იქნა დაბრუნებული. საქმის მონაწილეებს იმედი ჰქონდათ, რომ ფულის დაბრუნების შემდეგ მათ შეიწყალებდნენ. თუმცა, გამოძიება გაგრძელდა და კოლონია იძულებული გახდა, რესპუბლიკა დაეტოვებინა.

საქმეში ორი სქემა მოქმედებდა. სკოლების დირექტორთა ყალბი ხელმოწერების გამოყენებით, თითქოსდა მათი სახელით, იწერებოდა განცხადებები სკოლების სრული ან ნაწილობრივი რემონტისათვის თანხების გამოყოფის თხოვნით. გამოყოფილი ფული მთლიანად ჩინოვნიკთა ჯიბეებში ილექებოდა. მეორე სქემის მიხედვით, ფულის დატაცება მაშინ ხდებოდა, როდესაც სკოლის დირექტორები მართლაც წერდნენ განცხადებებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "იაპონჩიკი" სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

*რამდენიმე დღის წინ მოსკოვში თავს დაესხნენ მოსკოვის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს ოლეგ პიპჩენკოვს, გამომძიებელს, რომელიც ვიაჩესლავ ივანკოვის, "იაპონჩიკის" საქმეს იძიებდა.*

ოლეგ პიპჩენკოვის სახლის შესასვლელში აფეთქება ღამის 9-ის 10 წუთზე, იმ დროს მოხდა, როცა თავად გამომძიებელი სადარბაზოში შედიოდა. თუმცა, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი არ დაზიანებულა. აფეთქების შედეგად მხოლოდ სადარბაზოს კარი დაზიანდა, სადაც დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დისტანციური მართვის პულტით იმართებოდა. მოსკოვის მილიციამ დამნაშავეთა "ცხელ კვალზე" დაკავება ვერ შეძლო.

გამნაღმველთა ინფორმაციით, აფეთქებისას გამოყენებული იყო 600 გრამი ტროტილი. მომხდარ ფაქტზე მოსკოვის პროკურატურამ საქმე ორი მუხლით აღძრა - დანაშაულისა და თავდასხმის მომზადებისა და მკვლელობის მუხლით. გავრცელებული ვერსიით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა სახელგანთქმული "იაპონჩიკის" გახმაურებულ საქმეს უკავშირდება.

საქმე ისაა, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ვიაჩესლავ ივანკოვი, "იაპონჩიკი" მისთვის წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა. საუბარია, 1992 წელს მომხდარ თურქეთის ორი მოქალაქის მკვლელობაზე. ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, "იაპონჩიკი" უდანაშაულოდ გამოცხადდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## "ენერგოსისტემა ზამთრისთვის კარგად მოემზადა"

### "თუმცა, ავარიებისგან დაზღვეულნი ვერ ვიქნებით," - გვაფრთხილებს ენერგეტიკის მინისტრი

*საქართველოს ენერგოსისტემა ზამთრისთვის მზად არის. ამის შესახებ გუშინ საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი განცხადებით, საქართველოს ენერგოსისტემაში ჰიდროელექტროსადგურები რეაბილიტირებულია. ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 60 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.*

"მიუხედავად იმისა, რომ ენერგოსისტემა ზამთრისთვის კარგად მოემზადა, სისტემას 24-საათიანი რეჟიმით არ უმუშავია, ამიტომ, ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული ავარიებისგან დაზღვეულნი არ ვართ," - განაცხადა გილაურმა.

შესრულებული სამუშაოებიდან კი მინისტრმა ძირითადი აქცენტი "კავკასიონის" საჰაერო ხაზის აღდგენასა და გაზოტურბინების მშენებლობაზე გააკეთა. "საქართველოში ახალი ტექნოლოგიები დაინერგა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. "საქრუსენერგოს" თანამშრომლებმა შეძლეს ბაგირზე დაკიდებული ენერგოგადამცემი ხაზის "კავკასიონის" მეშვეობით რუსეთიდან ელექტროენერგია შემოეტანათ. "კავკასიონის" ჩართვის შემდეგ რუსეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის იმპორტის განხორციელება ენერგეტიკოსებს შესაძლებლობას აძლევს, "ენგურჰესში" არსებული წყლის რესურსი დაზოგონ და ზამთრის განმავლობაში გამოიზოგონ. ხოლო "ენერჯი ინვესტმა" დროულად მოახერხა გაზოტურბინების საქართველოში ჩამოტანა," - განაცხადა გილაურმა.

ამერიკული კომპანია Frat&Witney-ის მიერ წარმოებული გაზოტურბინული დანადგარები უკვე საქართველოშია. დანადგარებს დანიშნულების ადგილზე - გარდაბანში 10-14 დღეში ჩაიტანენ. როგორც კომპანია "ენერჯი ინვესტში" აცხადებენ, ამ მიზნით გამოიყენება აზერბაიჯანიდან მომავალი 11 სატვირთო მანქანა, რომელიც სპეციალიზირდება გაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვაზე. კოლონას თან ახლავს აზერბაიჯანში დამზადებული რამდენიმე სპეციალიზებული პლატფორმა გაზოტურბინული სადგურის იმ ზემძიმე კომპონენტების გადმოსატანად, რომელთა წონაც 81 ტონას აღემატება. პარალელურად, გარდაბანში "თბილსრესის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ელექტროსადგური დამონტაჟდება, ორი გაზოტურბინული დანადგარის ფუნდამენტი მზადდება.

ფუნდამენტის მოსამზადებელი პერიოდი ნოემბრის პირველ დეკადაში დასრულდება. სამშენებლო-საინჟინრო სამუშაოებს ახორციელებს ავსტრალიური კომპანია "კაპიტალ ტურბინზი", Frat&Witney (აშშ), Wood Group, Traiquest Enternational Group (ავსტრალია-საქართველო) და სხვ.

გაზოტურბინული სადგურის ექსპლუატაციაში შესვლა 2005 წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული. "ენერჯი ინვესტში" აცხადებენ, რომ სადგურის დაგეგმილი სიმძლავრე პირველ ეტაპზე 110 მეგავატი იქნება, მეორე და მესამე ეტაპების დასრულების შემთხვევაში კი სადგურის სიმძლავრე, სავარაუდოდ, 300 მეგავატს გადააჭარბებს (მეორე და მესამე ეტაპები განხორციელდება დაახლოებით წელიწადნახევარში, საჭიროებს დამატებითი გაზოტურბინების ჩამოტანას და მათ კომბინირებულ ციკლში გადაყვანას).

"ენერჯი ინვესტის" ინფორმაციით, მიმდინარე პირველი ეტაპის ღირებულება 60 აშშ მილიონი დოლარია, რომელიც მთლიანად გამოყო რუსეთის უმსხვილესმა საფინანსო ინსტიტუტმა - სააქციო საზოგადოება "ვნეშტორგბანკმა".

რაც შეეხება "კავკასიონს", ხაზი "კავკასიონი" წელს გაზაფხულზე დიდთოვლობის გამო დაზიანდა, რის გამოც, რუსეთიდან დენის იმპორტი შეწყვეტილი იყო. თუმცა, მერე ამ ხაზზე წელს ერთგვარი ექსპერიმენტი ჩატარდა: ხაზის განსაკუთრებით რთულ მონაკვეთზე რამდენიმე ანძა საჰაერო ბაგირმა შეცვალა. სარეაბილიტაციო სამუშაოები გუშინწინ საღამოს დასრულდა და ახლა საქართველო-რუსეთის მაკავშირებელი ხაზი სრული დატვირთვით მუშაობს. მისი საშუალებით, თბილისის ელექტრომომმარაგებელმა კომპანია "თელასმა" რუსეთიდან 200 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი უკვე დაიწყო. ამ ენერგიით "თელასი" აზერბაიჯანის ელექტროსისტემიდან ორი კვირის წინ დაწყებულ იმპორტს ჩაანაცვლებს.

კონტრაქტის მიხედვით, "თელასი" დღე-ღამეზე გათვალისწინებულ 4 მილიონ 300 ათას კილოვატ ენერგიას მიიღებს. ერთი კილოვატის ფასი 2,75 ცენტს შეადგენს. ელექტროენერგიის იმპორტს კომპანია დღეღამური 2 მლნ კილოვატის მოცულობით სომხეთის ენერგოსისტემიდანაც ახორციელებს, რითაც დედაქალაქის მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს. კონტრაქტის მიხედვით, თელასი დღე-ღამეზე გათვალისწინებულ 4 მლნ. 300 ათას კილოვატენერგიას მიიღებს. ერთი კილოვატის ფასი 2,75 ცენტს შეადგენს.

რუსეთიდან იმპორტს აწარმოებს რეგიონების ოპერატორი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაც". ის რუსეთიდან 80 მეგავატი სიმძლავრის დენს "სალხინოს" 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზითაც იღებს. ამასთან, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის" ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება სომხეთიდან ლალვარისა და აშოცკინინოწმინდის გადამცემი ხაზების მეშვეობით. კომპანიისთვის რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასი კვლავაც უცვლელია და 2,7 ცენტს შეადგენს.

*24 საათი*

## აფხაზეთში საბიუჯეტო სახსრების მითვისებაში ექვმიტანილი ჩინოვნიკი დააკავეს

პირველი გვერდიდან

მაგრამ განცხადებაში ერთი თანხა იყო მითითებული, ჩინოვნიკები კი გაცილებით მეტს წერდნენ. შედეგად, სკოლა სასურველ თანხებს იღებდა, "ნამეტს" კი, რომელიც, როგორც წესი, სკოლის მიერ მოთხოვნილ თანხას ორჯერ აღემატებოდა, ჩინოვნიკები ინაწილებდნენ. სქემები ხარვეზების გარეშე მუშაობდა, სანამ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელმა განათლების სამინისტროს დოკუმენტებში არ აღმოაჩინა, რომ მათ დაწესებულებებს დიდი ფული ჰქონდათ "მიღებული". გამოძიება სკოლებში ჩატარებული ინსპექციით დაიწყო, რომელმაც გამოყოფილი თანხების ხარჯვა შეამოწმა. როდესაც დირექტორებმა ერთხმად იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ეს ფული არ უნახავთ, გამოძიება ქალაქის ადმინისტრაციის მოხელეებს მიადგა.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაზეთ "24 საათის" 26 ოქტომბრის N1097-ში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში გაიპარა უზუსტობა. ნაცვლად აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასის 508 ლარისა (ბე შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 10101) უნდა იკითხებოდეს: 50 508 ლარი (ბე შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 10101).**

## შეხვედრა სენატორ მაკკეინთან

პირველი გვერდიდან

ზურაბ ნოღაიდელი კატეგორიულად არ ეთანხმება იმათ, ვინც თვლის, რომ ეს მოდელი საქართველოში ვერ იმუშავებს.

ნოღაიდელმა ამერიკის ხაზინაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მომავალ წელს, საქართველოს ენერგეტიკის სისტემის პრივატიზების პროცესში, ისევე როგორც ტელეკომის პრივატიზებაში, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამერიკული კომპანიებიც.

ნოღაიდელმა ამერიკის ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მარტში, ნიუ იორკში გაიმართება მორიგი კონფერენცია "ინვესტ ინ ჯორჯია", რომელშიც საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას. ამ კონფერენციაზე მოწვეულნი არიან ყველაზე დიდი ამერიკული კომპანიების წარმომადგენლები.

ზურაბ ნოღაიდელი შეხვდა ამერიკის ეროვნულ გმირს, სენატორ ჯონ მაკკეინს. ჯონ მაკკეინმა, რომელიც რესპუბლიკელთა ერთ-ერთი კანდიდატია მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, ზურაბ ნოღაიდელს განუცხადა, რომ უკრაინასა და საქართველოში აქტიურობისთვის რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა იგი ამერიკა-რუსეთის ურთიერთობათა ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად გამოაცხადა. თუმცა, ჯონ მაკკეინს, რომელმაც ხუთი წელი ვიეტნამის (იგივე საბჭოთა სპეცსამსახურის) ტყვეობაში გაატარა, ეს, რა თქმა უნდა, არ აშინებს. მაკკეინმა ზურაბ ნოღაიდელს დაწვრილებით გამოკითხა საქართველოში მიმდინარე რეფორმების არსი და სრული მხარდაჭერა აღუთქვა რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხში. ნოღაიდელის თქმით, რუსეთის მთავარი მიზანია, საქართველო დამარცხდეს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, ვინაიდან საქართველოს გამარჯვებას რუსეთის რეაქციული ძალები აღიქვამენ, როგორც საკუთარ მარცხს. სენატორმა მაკკეინმა დაადასტურა, რომ სენატორ ლუგართან და სენატორ ლიბერმანთან ერთად იგი ამზადებს სენატის რეზოლუციას, - სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო გეგმის მხარდასაჭერად, რომელიც პრეზიდენტმა შეიმუშავა და გეგმით ზურაბ ნოღაიდელი დღეს გამოაქვეყნებს ვენაში, - ეუთო-ს საბჭოს სხდომაზე. ნოღაიდელმა სენატორ მაკკეინს აცნობა, რომ სახელმწიფო მდივანმა რაისმა თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიიღოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში. სრულიად მოულოდნელად შედგა შეხვედრა თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდთან პენტაგონში. რამსფელდმა და რაისმა დაადასტურეს, რომ ამერიკა არა მხოლოდ ინტერესით ადევნებს თვალს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო პროცესის განვითარებას, არამედ მზად არის, აქტიურად ჩაერთოს კიდეც სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში და მონაწილეობა მიიღოს ერთობლივი საკონტროლო კომისიის სხდომებშიც. ზურაბ ნოღაიდელმა სენატორ მაკკეინს თხოვა, მომავალ წელს ნატოს სამიტზე ამერიკამ მხარი დაუჭიროს საქართველოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ნატოსთან - ახალი პროგრამის ფარგლებში.

ნოღაიდელმა სენატორ ჯონ მაკკეინს მადლობა გადაუხადა იმ ქართველი ჯარისკაცისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის, რომელიც ერაყში დაიჭრა და ამჟამადაც ამერიკაში მკურნალობს. პრემიერმა სენატორს მიხეილ სააკაშვილის მოკითხვა და მიწვევაც გადასცა.

ვაშინგტონიდან ზურაბ ნოღაიდელი დღეს ვენაში ჩავა, ხოლო კონგრესისა და თეთრი სახლის მხარდაჭერა პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნებისას ვენაში განსაკუთრებით ხელსაყრელ ფონს შექმნის.

## ოპოზიციის ლიდერები "ბექაურის საქმეს" ჩამოაშორეს

პირველი გვერდიდან

ფრიდონ რუხაიას კანდიდატურა, რომელიც, სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროს რეგიონული საბაჟოების - "ფოთი" და "დასავლეთი" - უფროსი იყო, უმრავლესობამ ბოლო მომენტში გამოძებნა. მანამდე, მთელი დღის განმავლობაში იგი გულმოდგინედ ცდილობდა, ოპოზიციური ფრაქციებიდან რომელიმე სუსტი პოლიტიკური ფიგურა გადაებირებინა და ის დროებითი კომისიის თავმჯდომარეობაზე დაეთანხმებინა. თუმცა, ოპოზიციამ ერთიანობა შეინარჩუნა. ბოლო დასაყრდენმა, "ლეიბორისტმა" თემურ დოლიშვილმაც უმტყუნა უმრავლესობას.

**"რადგან კობა ბექურს დედმამას არ ვაგინებ, არ იფიქროთ, რომ კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შემთხვევაში, მას ხელს დავაფარებ. მიუხედავად ამისა, მაინც უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ისე გამოდის, რომ ჩემს კანდიდატურას უმრავლესობა მხარს უჭერს, ოპოზიცია კი - არა. იმას ნუ გამიკეთებთ, რომ ქუჩაში გამოსაყოფი თავი აღარ მქონდეს,"** - "ლეიბორისტი" დეპუტატის ამ განცხადების შემდეგ, სახელისუფლებო ფრაქციას ისღა დარჩენოდა, მისთვის არცთუ მომგებიანი გადაწყვეტილება მიეღო: საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, კობა ბექაურის ბიზნეს-ინტერესების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ სახელისუფლებო ორბიტაზევე მოტრიალე პარლამენტარი დაენიშნა.

რამდენიც არ უნდა ამტკიცოს უმრავლესობამ, რომ ტერმინალ "ოპიზაში" ობიექტური გამოძიების ჩატარებას მიესალმება, ამის დაჯერება ცოტა ძნელია: თუ დადასტურდება, რომ "ნაციონალების" გუნდის წევრის კობა ბექაურის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი, ეს ხელისუფლების პრესტიჟს შელახავს. დარტყმა უფრო საგრძნობი იქნება, თუ დადასტურდება, რომ უკანონო ქმედებებში, ბექაურის გარდა, სახელისუფლებო გუნდის სხვა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ამდენად, ტერმინალ "ოპიზაზე" დადებული პოლიტიკური ფსონი იმაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და, აქედან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია უმრავლესობის დაჟინება, რომ დროებითი კომისიის თავმჯდომარე უმრავლესობის მიერ კონტროლირებადი ფიგურა გამხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელისუფლებო ფრაქცია ოპოზიციას სიამოვნებით გადაულოცავდა პასუხისმგებლობას და, მოგვიანებით, მისგან კომისიის მუშაობის შედეგებზე ანგარიშს ჩაიბარებდა.

შეიძლება ითქვას, რომ გუშინ პარლამენტში დროებითი კომისიის თავმჯდომარის ობიექტურობაზე გამართული პოლემიკა, მთლიანობაში, ფუჭ რიტორიკას წარმოადგენდა და მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარეობდა.

## თბილისში ცათამბჯენების ეპოქა იწყება

ნინო ნარჩემაშვილი

*ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი ქართული დეველოპერული კომპანია "აქსისი" ორი ოცდაათსართულიანი ცათამბჯენის მშენებლობას იწყებს. ახალ ცათამბჯენს საფუძველი 25 ოქტომბერს ჩაეყარა. სპეციალურად მოწყობილ კარავში გამართულ პრეზენტაციაზე, რომელსაც დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, თბილისის პრემიერი თემურ ქურხული, მთავრობისა და პარლამენტის წევრები დაესწრნენ, კომპანია "აქსისის" ხელმძღვანელობას მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო დოკუმენტაცია გადაეცა.*







აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო პროექტი გახლავთ. საქართველოში ყველაზე მაღალი, უნიკალური და მრავალფუნქციური შენობის - პირველი ქართული ცათამბჯენის "აქსის თაუერის" მშენებლობა უკვე მიმდინარე თვეში დაიწყება და მას პირველი ქართული დეველოპერული კომოპანია "აქსისი" განახორციელებს.

კომოპანია "აქსისის" კომერციული დირექტორი გოგა კაპანაძე აღნიშნავს, რომ **"უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საქართველოში პირველ ცათამბჯენს უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც ქვეყნის არქიტექტურული განვითარების, ისე საქართველოს ევროსაბჭოში ინტეგრაციის საკითხებში. "აქსის თაუერი" საინტერესო არქიტექტურის ნაგებობა იქნება და იგი როგორც სამშენებლო, ასევე შიდა მოწყობისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება."** მისივე განმარტებით, სამშენებლო სამუშაოებს "აქსისი" ძირითადად საკუთარი ძალებით განახორციელებს. სხვა სამუშაოებისთვის უკვე მოწვეულია სერიოზული და უცხოური კომპანიები.

ინფორმაციისათვის - პირველი ქართული 30 სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 110 მეტრზე მეტს მიაღწევს, ორი იდენტური ფორმის და სიმაღლის, თანაბარი მოცულობის კოშკისაგან იქნება შემდგარი. იგი 6000 კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს. უნიკალურია, აგრეთვე ამ ორი მოცულობის კონტრასტულობა, ანუ მოსაპირკეთებელ მასალათა სხვადასხვაობა - ერთი კოშკი მინით, ხოლო მეორე ქვით დაიფარება. "აქსის თაუერი" აღჭურვილი იქნება ბიზნესოფისებისათვის საჭირო ყველა ელემენტით (საკონფერენციო დარბაზები, პარკინგი და სხვა).

კომპანია "აქსისის" პრეზიდენტის ალექსანდრე მეჟევიძის განცხადებით, **"საოფისე ნაგებობას თავისი მოთხოვნები აქვს - გარკვეული ანტურაჟი და სივრცე სჭირდება. შესაბამისად მოსაძებნი იყო შესაფერისი ადგილი, თანაც ასეთი ადგილი თბილისში ბევრი არ არის, რადგან იგი რელიეფური ქალაქია. ამდენად შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი დედაქალაქის ცენტრალურ უბანში. შენობს მშენებლობა ორწლინახევრის შემდეგ დამთავრდება. თუმცა პროგრამა მაქსიმუმი არ გახლავთ და შესაძლებელია ვადები უფრო მოკლე აღმოჩნდეს".**

დედაქალაქის მერის გიგი უგულავას შეფასებით, **"აქსის თაუერი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშენებლობა გახლავთ, რადგან ჭავჭავაძის გამზირი, სადაც იგი შენდება, ფაქტობრივად, საქმიანი ალაგის ფუნქციას შეიძენს".**

თბილისის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის ნიკა ჩხაიძის თქმით, **"ქვეყანაში "აქსის თაუერი"-ს მსგავსი შენობების მშენებლობა პროგრესისა და წინსვლის მაჩვენებელია. ეს საკმაოდ რთულად ასაშენებელი შენობაა, სამაგიეროდ იგი როგორც ჭავჭავაძის პროსპექტს, ასევე მთლიანად დედაქალაქს საქმიან იერს შესძენს".**

**P.S.** "აქსის თაუერი" მნიშვნელოვანი ცენტრი იქნება, სადაც სხვადასხვა პროფილისა თუ დანიშნულების ბიზნესორგანიზაციები და გასართობი ცენტრები განთავსდება. მნიშვნელოვანია, რომ მას კომპანია "აქსისი" ააშენებს, რომელიც უკვე შვიდი წელია მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ე.წ. დეველოპერულ კომპანიად ჩამოყალიბდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "აქსისმა" მსოფლიოში მიღებულ, სტანდარტების შესაბამის, საიმედოობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გარანტად ცნობილ სამშენებლო კომპანიათა შორის დაიკავა ადგილი.

### მოკლედ

#### მიხეილ სააკაშვილი შატილში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შატილს ეწვია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის ვასილ მაღლაფერიძისა და განათლების და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას თანხლებით სააკაშვილმა შატილში ახლად გახსნილი სკოლა-ინტერნატი მოინახულა.

"ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საარჩევნო დაპირება შატილელებს ავუსრულე. სკოლა-ინტერნატში სულ ცხრა ბავშვი სწავლობს, მაგრამ ჩვენთვის არც ერთი ბავშვი არ არის უმნიშვნელო. მინდა, რომ შატილში ხალხი გამაგრდეს, რადგან ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული, ემოციური და სტრატეგიული ცენტრია საქართველოში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შატილში სკოლას საკუთარი შენობა არასოდეს ჰქონია. ახალი შენობა განათლების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაცია "საგანმანათლებლო თანამშრომლობა და განთავსების ცენტრის" დახმარებით აშენდა.

პრეზიდენტმა შატილის საკრებულოს ყველგანმავალი ავტომანქანაც გადასცა. "გარდა იმისა, რომ შატილში გავხსენით სკოლა, ამბულატორია, მოვაწესრიგეთ ელექტროენერგიის საკითხი, დღეიდან აქ ტელეფონიც გაჩნდება. დღესვე შატილის საკრებულოს ავტომანქანასაც გადავცემ," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

*მედიანიუსი*

#### საქართველოს ელჩი ვალერი ლოშჩინინს შეხვდა

დღეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ირაკლი ჩუბინიშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ვალერი ლოშჩინინს შეხვდა. ამ შეხვედრის თაობაზე როგორც საქართველოს, ისე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებიდან მწირი ინფორმაცია ვრცელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჩუბინიშვილმა და ლოშჩინინმა რუსულ-ქართული ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

*მედიანიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის - IPAP-ის შესრულების შესახებ შესაბამის დასკვნას ნატო ახლო მომავალში გამოაქვეყნებს. როგორც საქართველოში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფმა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობერტ სიმონსმა განაცხადა, ის კმაყოფილია სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის უწყების მუშაობით. თუმცა, გარკვეული შენიშვნები აქვს თავდაცვის სამინისტროსთან. რობერტ სიმონსის მოსაზრებით, კვლავ პრობლემად რჩება თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმარება, განკარგვა და მისი კონტროლი. თუმცა, სიმონსს ეს პრობლემა მოგვარებადად მიაჩნია და იმედი აქვს, რომ ქართული მხარე ამ საკითხზეც აქტიურად იმუშავებს. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) მოსკოვში გამართული სხდომის შედეგებს "არასანუგეშოს" უწოდებს და რუსეთს ცხინვალის ხელისუფლების შეიარაღებაში ადანაშაულებს. ხაინდრავას განცხადებით, 24-25 ოქტომბერს მოსკოვში ჩატარებულ სხდომაზე ქართულმა მხარემ რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იარაღის შეტანაში ღიად დაადანაშაულა და განუმარტა, რომ საქართველოს ხელისუფლება სრულ ინფორმაციას ფლობს "რუსეთიდან სამხედრო ტექნიკის შემოტანის ყველა ფაქტის შესახებ." "ცხინვალის ხელისუფლებას რუსეთი სრულად აკონტროლებს. მათზე კონტროლს რუსეთის ფედერალური სპეცსამსახური ახორციელებს," - აღნიშნავს გიორგი ხაინდრავა. მისი შეფასებით, "ცხინვალის კონფლიქტის ზონაში რუსული მხარის მიერ წარმოებული სამშვიდობო ოპერაცია, ფაქტობრივად, ჩაიშალა." სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის შეხვედრა ქართული მხარისთვის "პრქტიკულად, არაფრისმომცემი და უშედეგო იყო", საქართველოს ხელისუფლება იმედს იტოვებს, რომ 15 ნოემბრისთვის სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში დაგეგმილ შსკ-ს სხდომაზე სამშვიდობო ოპერაციის რეფორმირების საკითხებზე უფრო კონკრეტული და ფართო განხილვა გაიმართება. შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე ქართულმა მხარემ სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლა, კონფლიქტის მოგვარებაში ეუთო-ს როლის გაძლიერება და აშშ-სა და ევროკავშირის მონაწილეობა მოითხოვა. ქართული მხარის წინადადებები როგორც ოსური, ასევე რუსული მხარისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# უკრაინულ იარაღთან დაკავშირებული სკანდალის ახალი ფაზა და ახალი შეკითხვები

პირველი გვერდიდან

ბრძანებას, რომლის ნომერია 353, ხელს მართლა აწერს გენერალური შტაბის იმდროინდელი უფროსი, ამჟამად კი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, ბრიგადის გენერალი **ვახტანგ კაპანაძე**. ბრძანება ითვალისწინებს უკრაინული "სპეცქონების მიმღები ტექნიკური ჯგუფების" შექმნას. ასეთი ჯგუფი კი ოთხი ყოფილა და მათ ევალებოდათ შემდეგი სახის საბრძოლო მასალისა და იარაღის მიღება:

- ცეხლსასროლი იარაღი, ნაღმსატყორცნები და საბრძოლო მასალები;
- ჯავშანტრანსპორტიორები;
- ქვეითთა საბრძოლო მანქანები;
- თვითმავალი საარტილერიო დანადგარები;

ბრძანებაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ აღნიშნულმა ჯგუფებმა "მოახდინონ კონტრაქტის დანართში გათვალისწინებული ქონების დათვალიერება და მიღება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაკეთობების ტექნიკურ მდგომარეობას, მათ კომპლექტაციას კუთვნილი სათადარიგო ნაწილებითა და ინსტრუმენტებით."

ბოლო პუნქტი ამ ბრძანებიდან: "კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკი ლ. ნიკოლეიშვილს."

პოლკოვნიკი **ლევან ნიკოლეიშვილი** სულ მალე დააწინაურეს და იგი ამჟამად გენერალური შტაბის უფროსია. ბრძანებაში მოხსენიებული მე-2 და მე-3 ჯგუფის წევრები, პოლკოვნიკი **დ. ნატროშვილი** და ვიცე-პოლკოვნიკი **ბ. ბუქვაიძე**, რომლებსაც ჯავშანტექნიკა უნდა მიეღოთ, დაკავებულები არიან, ლოგისტიკის ყოფილ სარდალ პოლკოვნიკ **მამუკა ლომსაძესთან** ერთად.

### ქართველი ოფიცრების დაკავების ოფიციალური ვერსია და პირის გამტეხი "უკრსპეცექსპორტი"

გენერალური პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი პროკურორის ზ. შუშანაშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილების მიხედვით (იხილეთ ფოტო ნომერი 2), მამუკა ლომსაძემ გადაამეტა სამსახურებრივ მდგომარეობას, ხოლო პოლკოვნიკმა დავით ნატროშვილმა ბოროტად "გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება". მოგვყავს ამონაწერი ამ დადგენილებიდან. სტილი დაცულია. "მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მხარის მიერ მიწოდებული ქვეითთა საბრძოლო მანქანები (ბმპ-2) - 40 ერთეული, ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, **უკრაინის მხარისათვის უპირატესობის მინიჭების მიზნით,** კონტრაქტის დარღვევით მიიღო ისინი და ხელი მოაწერა ქვეითთა საბრძოლო მანქანების მიღების 2004 წლის 23 ნომებრის, 14 დეკემბრისა და 23 დეკემბრის 40 აქტს." ვიმეორებთ, სტილი დაცულია.

საქართველოს პროკურატურაში გამართული ლიტერატურული ენით დოკუმენტების შედგენა ყოველთვის დიდ პრობლემას რომ წარმოადგენდა, ვფიქრობ, ეს დადგენილებაც ცხადყოფს. მაგრამ ყველაზე საგანგაშო საქმის სამართლებრივი მხარეა.

### უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვები

როგორც ცნობილია, უკრაინულ ქვეითთა საბრძოლო მანქანების სკანდალი სექტემბრის დასაწყისში "გასკდა". ანუ 8 თვის შემდეგ, რაც ეშელონი საქართველოში შემოვიდა და ტექნიკამ საბრძოლო ნაწილებში დაიდო ბინა. სკანდალის აგორების მიზეზი კი გახდა სექტემბრის დასაწყისში გაზეთ "კვირის პალიტრის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მასში ნათქვამი იყო, რომ უკრაინაში შეძენილი 40 ქვეითთა საბრძოლო მანქანიდან 38 ერთეული მწყობრიდან გამოვიდა. ამ ფაქტს თავდაცვის სამინიატრო დიდხანს ასაიდუმლოებდა, ამიტომ ფაქტის გახმაურებამ მტკივნეულად იმოქმედა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის "მუნდირის ღირსებაზე".

მათ სასწრაფოდ დაავალეს ახლად შექმნილ სამხედრო პოლიციას ფაქტის გამოძიება. სამხედრო პოლიციამ კი, რატომღაც, დააკავა ლოგისტიკის ყოფილი სარდალი (რომელიც 8 თვე იყო, თანამდებობაზე აღარ იმყოფებოდა) და მისი ორი მოადგილე. ამ ფაქტმა წარმოშვა ეჭვები, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ცდილობს, ყოფილი მინისტრის გუნდს შეწმინდოს ხელი, მისი მინისტრობის დროს არასწორი ექსპლუატაციისა და ეკიპაჟების არაპროფესიონალიზმის წყალობით მწყობრიდან გამოსული ტექნიკის გამო. ამ ეჭვებს რამდენიმე გარემოება ასაზრდოებს:

- არსებობს მიღება-ჩაბარების აქტები, ხელმოწერილი და დადასტურებული კომისიის წევრებისა და ბრიგადის მეთაურების მიერ, სადაც ეს ტექნიკა ინახებოდა(იხილეთ ფოტო ნომერი 3). აქტები ცხადყოფს, რომ **"ტექნიკა გამართული, დაკომპლექტებულია სრულად, კონტრაქტის პირობების შესაბამისად და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის სრულ მზადყოფნაშია".** საკითხავია, თუ ტექნიკა იმთავითვე უვარგისი იყო, ვინ აიძულა ბრიგადის ხელმძღვანელობა, მიეღო ეს ტექნიკა და თანაც 8 თვის განმავლობაში ხმა არ დაეძრა ამაზე? ასეთი დაუდევრობა "ტრიბუნალით" მთავრდება და თვით მამაზეციერიც ვერ აიძულებს საბრძოლო მეთაურს, მიიღოს უვარგისი ტექნიკა, რომელიც მის ქვედანაყოფს ბრძოლის ველზე დაღუპვას უქადის. რამდენადაც ცნობილია, ჯერჯერობით არ დგას არც ერთი მეთაურის პასუხისმგებლობის საკითხი.

- ჯგუფებში, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ უკრაინაში, ირიცხებოდა სამხედრო კონტრდაზვერვის წარმომადგენელი ოფიცერი, რომელიც ვალდებული იყო, თვალი ედევნებინა ტექნიკის მიღებისათვის. საკითხავია, როგორ გამოეპარა მას "უკრსპეცექსპორტის" მიერ უვარგისი ტექნიკის მოწოდების ფაქტი და მოახსენა თუ არა მან ზემდგომებს ამის შესახებ?

- თუკი ზემოხსენებულმა დაკავებულმა ოფიცრებმა, **"უკრაინის მხარისათვის უპირატესობის მინიჭების მიზნით",** მიიღეს ტექნიკა, რამდენად სანდო პარტნიორია უკრაინული სახელმწიფო სტრუქტურა? და თუკი იგი სანდო პარტნიორი არაა, მაშინ რატომ გრძელდება "უკრსპეცექსპორთან" კონტრაქტი გაცილებით უფრო ძვირადღირებული საბრძოლო ტექნიკის შეძენაზე? (საიდუმლოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ იარაღის ტიპს არ ვასახელებთ. რედ.)

- თუკი სახელმწიფო კომპანია "უკრსპეცექსპორტი" არასანდო პარტნიორტია, რატომ მაინცდამაინც გაფუჭებული ქვეითთა საბრძოლო მანქანები შეაჩეჩა მან ქართულ მხარეს და არა სხვა ნაკეთობები. **"ჩვენ ყოველთვის ვიყავით სანდო პარტნიორები საქართველოსათვის. ასე იყო პრეზიდენტ კუჩმას დროს და მით უფრო პრეზიდენტ იუშენკოს დროს. ვერავინ გაბედავდა საქართველოსთვის უვარგისი იარაღის მთელი პარტიის მიყიდვას,"** - გვითხრა "უკრსპეცექსპორტის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ამ დღეებში იმყოფებოდა საქართველოში.

- "უკრსპეცექსპორტი" იარაღის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორია ევროპისა და აზიის მასშტაბით. მისი მთავარი კონკურენტია რუსული "როსვოორუჟენიე". ამ ორი კონკურენტის დაპირისპირება წლებია, რაც გრძელდება. შესაბამისად, რაღაც 800 ათასი დოლარის მოცულობის კონტრაქტის გამო, უკრაინული კომპანია არ შებღალავდა თავის ავტორიტეტს და არ მისცემდა რუსულ მხარეს დამატებით არგუმენტს მისი კრიტიკისათვის. შემთხვევითი არაა, რომ უვარგისი უკრაინული ტექნისკის თემა უმალ აიტაცეს რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა.

და რაც მთავარია: თუ ტექნიკა შემოტანისთანავე უვარგისი იყო, როგორ მოხდა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ამა წლის მაისში ორფოლოში გამართულ ყველაზე მსხვილმასშტაბიან ჯავშანსატანკო სწავლებაში. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს იყო სწავლება, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უწოდა უნიკალური საქართველოს ისტორიაში, ხოლო გენერალური შტაბის უფროსმა იგი ფრიადზე შეაფასა.

არსებობს სტანდარტი, რომლის თანახმადაც სწავლება საერთოდ დამაკმაყოფილებლადაც ვერ ჩაითვლება, თუკი პოლკის მასშტაბის მანევრების დროს თუნდაც სამი ერთეული ტექნიკა გამოვა მწყობრიდან. ვიმეორებთ, 38 ქვეითთა ჯავშანმანქანა, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ორფოლოს პოლიგონზე გამოვიდა მწყობრიდან. ეს ფაქტი კი ყველაზე დამაფიქრებელია: უკრაინიდან შემოტანილი ქვეითთა საბრძოლო მანქანები ან არასწორი ექსპლუატაციის გამო თანდათან გამოვიდა მწყობრიდან, ან თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უბრალოდ ნაცარი შეაყარა თვალში მთელ საზოგადოებას, როდესაც გაფუჭებული ტექნიკით ჩატარებულ სწავლებას ყველაზე წარმატებული უწოდა.

P.S. ჩვენი წერილი უკვე თითქმის მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც ტელეკომპანია "რუსთავი 2" -ის საინფორმაციო გადაცემა "კურიერმა" გადასცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის კომენტარი. სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა სიტყვასიტყვით თქვა შემდეგი: უკრაინიდან შემოტანილი ქვეითთა **საბრძოლო მანქანები თურმე არ მონაწილეობდა ორფოლოს პოლიგონზე გამართულ მანევრებში** და რომ იქ სხვა, გამართული ჯავშანმანქანები ყოფილა გამოყენებული. მოგვყავს ციტატა პროკურორ ზ. შუშანაშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილებიდან, რომლის ფოტო-ასლიც აქვეა გამოქვეყნებული: "დ.ნატროშვილის, მ.ლომსაძის, ბ.ბუქვაიძის, თ.ბოჭორიშვილისა და ზ.თურმანიძის დანაშაულებრივმა ქმედებებმა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, კერძოდ, 2005 წლის მაისის თვეში **"ორფოლოს" სამხედრო პოლიგონზე მიმდინარე სამხედრო წვრთნების დროს** ზემოთ ხსენებული პირების მიერ მიღებული 40 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქნებიდან, 38 გამოვიდა მწყობრიდან, რითაც სახელმწიფოს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, 595 00 ლარის ოდენობით."

P.P.S. დაბოლოს. ჯერჯერობით ბოლომდე დაუზუსტებელი ინფორმაციით, სულ რაღაც ორი კვირის წინ გაიძარცვა თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში, სარემონტოდ შეტანილი რამდენიმე ათეული მძიმე საბრძოლო ტექნიკა. დაცულ ობიექტზე გამოცხადებულმა მძარცველებმა შეძლეს მოეპარათ გაბარიტული მაშუქები, სადესანტო სავარძლები და ხუფები. ასეთ დროს ვახტანგ კაპანაძის სახელის ამოტივტივება უკრაინული ტექნიკის საქმეში, რაც ძალზე ოპერატიულად მოხდა, ხომ არ ემსახურება საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას, რათა დაიფაროს დღევანდელი უკონტროლო სიტუაცია თავდაცვის სამინისტროში, რაშიც ერთი კვირის წინ თავად ქვეყნის პრეზიდენტიც კი დარწმუნდა, როდესაც მოულოდნელი რეიდი მოაწყო ქვეყნის მთავარ სამხედრო უწყებაში?

დასკვნის გაკეთება მკითხველისათვის მიგვინდვია.





ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სამხედრო ტექნიკის მიღების აქტი. თეთრ ფონზე გამოყოფილია ტექნიკის მდგომარეობა.



დადგენილება



ფონით გამოყოფილია სამხედრო პროკურორის დასკვნა.

უცხოეთი

# აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ბაზა - სადილი ერაყში დაღუპულ ამერიკელ სამხედრო პირთა ქვრივებთან

*ზოგი მას ისლამურ რადიკალიზმს უწოდებს, ზოგიც მილიტარისტულ ჯიჰადს, სხვები კი ისლამურ ფაშიზმს. როგორადაც არ უნდა იწოდებოდეს, ეს იდეოლოგია ძლიერ განსხვავდება ისლამის რელიგიისაგან. რადიკალიზმის ეს ფორმა ისლამს მოძალადე პოლიტიკურ ხედვად წარმოგვიდგენს - ტოტალიტარულ იმპერიად, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ და რელიგიურ თავისუფლებას უარყოფს.*

ჯორჯ ბუში უმცროსი

ხათუნა ბაბიევი

წუთიერი დუმილი სენატში, ერაყში დაღუპულ ჯარისკაცთა ხსოვნის პატივსაცემად; პაციფისტთა გამოსვლები და ბოლინგის სამხედრო ავიაბაზაზე ჯორჯ ბუშის შეხვედრა დაღუპულ მეომართა ქვრივებთან - ასეთი იყო სამშაბათის ქრონოლოგია ვაშინგტონში. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიმართვა, რომელიც მან ერაყის ომის დროს დაღუპული სამხედროების მეუღლეებთან შეხვედრისას გააკეთა, ადგილობრივმა (და არა მარტო) მედიამ ერაყული კამპანიის გამართლებისა და დაცემული რეიტინგის ამაღლების კიდევ ერთ მცდელობად შეაფასა.

**"ჩვენ ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ჩვენი ერის უმამაცესი ვაჟკაცები და მათთან ერთად მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიც დავკარგეთ. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად და ასეთი დანაკარგისთვის პატივის მისაგებად ვალდებულნი ვართ, მისია ბოლომდე აღვასრულოთ და თავისუფლების გავრცელებით მშვიდობას ჩავუყაროთ საფუძველი,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

შემდეგ პრეზიდენტმა ბევრი ისაუბრა იმ სიძნელეებზე, რაც ამერიკელ სამხედროებს კოალიციის სხვა წევრებთან ერთად შეხვდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისას და იქვე ისიც აღნიშნა, რომ სირთულეების დაძლევის ეტაპი ჯერ ბოლომდე გავლილი არ არის.

გარდა ამისა, ჯორჯ ბუშმა იმ საშუალებებსა და მექანიზმებზეც ისაუბრა, რაც ტერორისტთა ქსელს "პარაზიტივით დაუძლეველსა და გავრცობადს ხდის"; პრეზიდენტმა ისაუბრა ასევე იმ სახელმწიფოებზეც, რომლებმაც ერაყულ კამპანიაში ჩართვისაგან თავი შეიკავეს და შემდეგ საკუთარ თავზე იწვნიეს დაუნდობელ ექსტრემისტთა დარტყმა.

**"რუსეთის ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა ოპერაციას "ერაყის გათავისუფლება" და მოგვიანებით ტერორისტებმა მათ საკუთარ სახლში 150-ზე მეტი მოსწავლე მოუკლეს... ისლამისტ რადიკალთა სისხლიანი იდეოლოგია ახალი საუკუნის უდიდესი გამოწვევაა. ეს ბრძოლა ძალიან ჰგავს გასულ საუკუნეში კომუნიზმთან დაპირისპირებას. კომუნისტური იდეოლოგიის მსგავსად, ისლამური რადიკალიზმი ელიტურია. ერთი მუჭა თვითმარქვია მეთაურთა ჯგუფი უფლებას აძლევს საკუთარ თავს, მუსლიმი ხალხის სახელით ილაპარაკოს და როგორც თავადვე ამბობენ, "არჩევენ, რა არის კარგი და რა ცუდი ხალხისთვის". კომუნისტური იდეოლოგიის მსგავსად, ჩვენს ახალ მტრებსაც მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უდანაშაულო მსხვერპლის შეწირვაც დასაშვებია. მათ უკვე შეიწირეს დენიელ პერლის, ნიკოლას ბერგის, მარგარეტ ჰასანისა და კიდევ მრავალი სხვა სიცოცხლე... ჩვენ არ გვითხოვია ეს ბრძოლა, უბრალოდ, ისტორიის გამოწვევას ვპასუხობთ რწმენითა და ყოვლისმომცველი სტრატეგიით..."** - იმ დროს, როცა აშშ-ს პრეზიდენტი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, პაციფისტი სინდი შიჰენი, რომელსაც 24 წლის ვაჟი კესი გასულ წელს ერაყში დაეღუპა, თეთრ სახლთან იდგა და თავის მომხრეებთან ერთად მეორე დღეს "სიმბოლური სიკვდილის" გეგმას ადგენდა ერაყში აშშ-ს შეჭრის კიდევ ერთხელ გაპროტესტების ნიშნად.




"თქვენ საუკეთესო ანაზღაურებას იმსახურებთ. მოხარული ვარ, რომ 2001 წლიდან სამხედრო პირთა ანაზღაურება 21 პროცენტით გავზარდეთ"

პრეზიდენტის სიტყვის დასრულებიდან რამდენიმე საათში პენტაგონმა ერაყში დაღუპულ ჯარისკაცთა სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა - 2 000 სამხედრო მოსამსახურე. პენტაგონის ცნობა თითქმის დაემთხვა ერაყის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღების შესახებ გავრცელებულ ახალ ამბავს, რამაც ძალიან გააფერმკრთალა აშშ-ს ხელისუფლებისთვის ქულების მომტანი ეფექტი. თუმცა, პენტაგონის წარმომადგენელს არაფერი უთქვამს იმ ერაყელთა რაოდენობაზე, რომლებიც ასევე შეეწირნენ მათ ქვეყანაში მიმდინარე ომს. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ასეთი სტატისტიკა პენტაგონს არც უწარმოებია. ბრიტანელ ექსპერტთა მიახლოებითი გამოთვლით კი, ერაყულ კამპანიას ანუ 2003 წლის მარტიდან წარმოებულ ბრძოლას 30 ათასიდან 100 ათასამდე ერაყელის სიცოცხლე შეეწირა.

## აზერბაიჯანში დაპატიმრებები გრძელდება

აზერბაიჯანის სამართალდამცავმა ორგანოებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ერთ-ერთი უდიდესი ქიმიური ქარხნის დირექტორი დააპატიმრეს. ხელისუფლება აკიფ მურადვერდიევს და ფიქრეთ სადიგოვს სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობას სდებს ბრალად. დამკვირვებლები დაპატიმრებებს 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას უკავშირებენ. გასულ კვირაში თანამდებობიდან გაათავისუფლეს და დააპატიმრეს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ფარჰად ალიევი, ჯანდაცვის მინისტრი ალი ინსანოვი და ფინანსთა მინისტრი ფიქრეთ იუსუფოვი. პატიმრობაშია ფარჰად ალიევის ძმა, წამყვანი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელი რაფიკ ალიევიც. ყველა დაკავებული სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაშია ეჭვმიტანილი. ხელისუფლება შეთქმულებაში მთავარ მოქმედ პირად ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ რასულ გულიევს მიიჩნევს. აზერბაიჯანის პარლამენტის ექს-სპიკერი უკრაინის ხელისუფლებამ 24 ოქტომბერს მას შემდეგ დააკავა, რაც თვითმფრინავი, რომლითაც ის ბაქოში მიფრინავდა, საწვავის მარაგის შესავსებად სიმფეროპოლში დაეშვა. ოფიციალურმა ბაქომ, რომელიც გულიევს დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების დატაცებაში ადანაშაულებს, მისი ექსტრადიცია მოითხოვა. თუმცა, ორი დღის შემდეგ სიმფეროპოლის სასამართლომ გულიევი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ამჟამად რასულ გულიევი დიდ ბრიტანეთში იმყოფება. სამშაბათს მან განაცხადა, რომ აზერბაიჯანში 6 ნოემბრამდე დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

## თანამშრომლობის ორგანიზაცია ძალას იკრებს

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ძალას იკრებს და "სულ უფრო მეტ პოლიტიკურ წონას იძენს", - განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვენ ძიაბოსთან შეხვედრისას. ჩინეთის მთავრობის მეთაური მოსკოვში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. შეხვედრაზე ტერორიზმთან ბრძოლის და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები განიხილება. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში რუსეთის და ჩინეთის გარდა ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი შედიან. სხდომაში დამკვირვებლის სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას ინდოეთის, ირანის, მონღოლეთისა და პაკისტანის წარმომადგენლები. ამერიკული გამოცემის "Cristian Science Monitor"-ის აზრით, ამ ორგანიზაციის ქვეყნების მთავრობათა საბჭოს სხდომის ერთ-ერთი მიზანი ნატო-ს საპირისპირო ევრაზიული სამხედრო ბლოკის შექმნაა. ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის განვითარების მიზნით, 2001 წელს შექმნილი ეს ორგანიზაცია სწრაფად გარდაიქმნა უსაფრთხოების რეგიონულ ბლოკად და მალე მის შემადგენლობაში შესაძლოა, ისეთი ქვეყნები შევიდნენ, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი და ირანი. ამ შემთხვევაში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია თავის გავლენას სამხრეთ აზიაზე და ახლო აღმოსავლეთზეც გაავრცელებს. **ინტერპრესნიუსი**

# რთული თუ მიუღებელი არჩევანი

პირველი გვერდიდან

ამ "უვადო აქციიდან" ორასიოდე მეტრში დაახლოებით ხუთასი ადამიანი (ძირითადად დედაქალაქის მცხოვრებნი) პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერ მიტინგს მართავენ. აქციის მონაწილენი ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის მოწოდებებით გამოდიან და პრეზიდენტს სთხოვენ, არ გაწიროს "რევოლუციური" მოკავშირე კულოვი.

პრემიერ-მინისტრის ბედი რომ ერთპიროვნულად პრეზიდენტის გადასაწყვეტი იქნება, აშკარა გახდა ორი დღის წინ პარლამენტში მომხდარი მოვლენების შემდეგ. ჟოგორკა კენეშამ საერთოდ უარი თქვა მთავრობის გადადგომის შესახებ საკითხის განხილვაზე. პარლამენტის სპიკერმა ომურბეკ ტეკემბაევმა განაცხადა, რომ ეს საკითხი პარლამენტის კომპეტენციას სცილდება.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ორი ფაქტორი. პირველი - ის რომ, ფელიქს კულოვი გუშინ მოსკოვში გაემგზავრა "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" მთავრობის მეთაურთა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად და სამშობლოში მხოლოდ დღეს საღამოს დაბრუნდება. ანუ თავად კულოვს მოვლენების განვითარებაზე კონტროლი დაკარგული ექნება.

მეორე - ჯერჯერობით ბუნდოვანი რჩება პრეზიდენტის, კურმანბეკ ბაკიევის პოზიცია. გავრცელებული ჭორების თანახმად, იგი არაოფიციალურად კულოვის წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზატორს, "კანონიერ ქურდ" რისპეკ აკმატბაევს უჭერს მხარს. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურს დღემდე არ დაუგმია ქვეყნის სამხრეთ ნაწილსა და ბიშკეკში მიმდინარე ქუჩის აქციები, რომლებზეც კულოვის გადადგომის მოთხოვნა ისმის.




შესაძლოა, ბაკიევის "თავდაჭერილობა" 2006 წლის 1 იანვრის მოახლოებით იყოს განპირობებული. ამ დროს უნდა ამოქმედდეს ჯერ კიდევ ასკარ აკაევის დროს შემუშავებული პოლიტრეფორმა, რის შედეგადაც პრეზიდენტის ძალაუფლების დიდი ნაწილი პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს უნდა გადაუანაწილდეს. რასაკვირველია, ძალაუფლების შეზღუდვის პერსპექტივა ბაკიევს არანაირად არ ახარებს. ალბათ, სწორედ ამიტომ ადვილი შესაძლებელია, კრიმინალებთან გარიგებაზე ეფიქრა.

თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ დღევანდელ კრიზისში ექსპრეზიდენტის ხელიც ერიოს. მართალია, ასკარ აკაევი ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყირგიზეთი დღესაც კლანურ სისტემაში აგრძელებს ცხოვრებას, ხოლო აკაევის ნათესავები (მათ შორის მისი ვაჟიშვილი აიდარი და ქალიშვილი ბერმეტი) კვლავაც მრავლად რჩებიან "პოსტრევოლუციურ" ქვეყანაში, აშკარაა, რომ აკაევს სიტუაციაზე კონტროლის ბერკეტები კიდევ რჩება. გარდა ამისა, ჟოგორკა კენეშას დეპუტატების დიდი ნაწილი სწორედ აკაევის კლანიდან არის და არცთუ დიდი ხალისით თანამშრომლობს ახალ "რევოლუციურ" ხელისუფლებასთან. შეგახსენებთ, მათ იმდენი მოახერხეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე "რევოლუციის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელი როზა ოტუმბაევა არ დაამტკიცეს.

რაც შეეხება თავად ფელიქს კულოვს, რომელმაც თავის დროზე, ფაქტობრივად, დაუთმო პრეზიდენტის სავარძელი კურმანბეკ ბაკიევს (ბუნებრივია, მთავრობის ხელმძღვანელობის დაპირების სანაცვლოდ და, ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის დაპირისპირება არ დაეშვა), პოპულარობა ჯერაც არ დაუკარგავს.

"რკინის ფელიქსს", - კაცს, რომელმაც მარტის მოვლენების შემდეგ შეძლო ბიშკეკში მაროდიორობისა და ყაჩაღობის აღკვეთა, დღესაც ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ კულოვს არ შეუძლია, რადიკალურ ზომებს მიმართოს მომიტინგეთა წინააღმდეგ, რადგანაც ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს "ძალოვან" უწყებებს, მას ვერც/არც პარლამენტი გადააყენებს.

ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი პრეზიდენტის გადაწყვეტილება იქნება. თუმცა, არც ბაკიევის არჩევანია ადვილი - თუ იგი გადააყენებს მთავრობას, პოლიტიკურ კრიზისსა და, ფაქტობრივად, ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის ღია დაპირისპირებას გამოიწვევს. ხოლო თუ დაგმობს კულოვის საწინააღმდეგო აქციებს და სამართალდამცავ ორგანოებს მათ დაშლას უბრძანებს, აუცილებლად სისხლისღვრას მიიღებს შედეგად.

**"მომიტინგეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნა პრემიერ-მინისტრის გადაყენების შესახებ - ძალიან რთული შესასრულებელია. მოდით, ერთად მოვუწოდოთ მათ მოთმინებისკენ. დეპუტატებმა კი აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამაში,"** - ამბობს ბაკიევი. აშკარაა, პრეზიდენტი პასუხისმგებლობას არიდებს თავს.

მაგრამ, სავარაუდოდ, გადაწყვეტილების მიღება მას მაინც მოუწევს. და თუ მეორე არჩევანს გააკეთებს, შეიქმნება პრეცედენტი, რომ ხელისუფლება არ მიდის კრიმინალებთან დათმობაზე.

## უცნობი თავისუფლება

**გადაცემის სტუმარია საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი**

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ბატონო ზურაბ, თქვენ სულ ცოტა ხნის წინ დედაქალაქის მერი იყავით. მერობა სჯობდა თუ ელჩობა სჯობს?

**ზურაბ ჭიაბერაშვილი:** მე ბოლო 3-4 წლის განმავლობაში სხვადასხვა სფეროებში მომიწია მუშაობა. ყველა მათგანს თავისი სპეციფიკა ჰქონდა. დღეს ჩემი საქმე არის, ვიყო საქმის კურსში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აქტუალურია საქართველოსა და ევროსაბჭოს ურთიერთობაში და რაც განსაკუთრებით ეხება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას. ამასთან, ამ თვალსაზრისით საქართველოს ვალდებულებების შესრულებას. ამიტომაც, ჩემი მთავარი ამოცანაა, ვიყო მოვლენათა ეპიცენტრში და ხელს ვუწყობდე იმ კომუნიკაციას, რაც საქართველოსა და ევროსაბჭოს შორის არსებობს.

**ა. ე.:** "წინ საქართველოს" აქტივისტები დღეს რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლთან იყვნენ შეკრებილნი. მათმა ნაწილმა იქ ღამეც გაათია, იმის შიშით, რომ დედაქალაქის მერიას ძეგლი ქალაქის შემოსასვლელში არ გადაეტანა. თქვენი მერობის დროს ამ ძეგლისათვის ადგილის შეცვლის იდეა თუ იყო?

**ზ. ჭ.:** ჩემი მერობის დროს, მთლიანად მოედნის რეკონსტრუქციის საკითხი იდგა. სასტუმრო "ივერიის" ახალ ფორმაში ჩასმა, ისევე როგორც "ანდროპოვის ყურების" დანგრევა - ეს ყველაფერი ჩემი მერობის დროს წამოწყებული საკითხებია. მაგრამ, იმთავითვე გავითვალისწინეთ, რომ მსგავსი პროექტის განხორციელება, პირველ რიგში, სატრანსპორტო კვანძის ახლებურად გააზრებას და მოედნის მოწესრიგებას მოითხოვს, რათა ის მართლაც ხალხმრავალი ადგილი გახდეს. რაც შეეხება ძეგლს, ჩვენ ამ საკითხზე მაშინ არ დავკონკრეტებულვართ და ასეთ დეტალებამდე არ დავსულვართ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ჯგუფი, რომელიც ფლობს სასტუმრო "ივერიას" და, შესაბამისად, შემოგვთავაზებს კიდევაც მას განახლებულ ფორმაში, ბუნებრივია, მუშაობდა თვით მოედნის რეკონსტრუქციაზე. საბოლოო პროდუქტი მაშინ წარმოდგენილი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ახლა ის მზად არის.

**ა. ე.:** არის თუ არა რამე წესი იმის თაობაზე, რომ თუ ძეგლისთვის ადგილის შეცვლას გეგმავ, ავტორისგან ნებართვა უნდა აიღო? არის თუ არა ეს სავალდებულო?

**ზ. ჭ.:** თავის დროზე, ქალაქის მერიამ ამ ძეგლში უზარმაზარი თანხა გადაიხადა და დღეს, როგორც ის აცხადებს, საავტორო უფლებების მფლობელია. ამდენად, საჭიროდ არ თვლის, ავტორს მოელაპარაკოს.

საზოგადოება იმას კი არ მოითხოვს, რომ მერაბ ბერძენიშვილს აზრი ვკითხოთ, არამედ არის ზოგადი არგუმენტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას თვითმმართველობის ორგანო აზრს ეკითხებოდეს თავად მოქალაქეებს. თუმცა, მოქალაქეებთან აზრთა ურთიერთგაცვლის ძალიან მკაფიო მექანიზმები ჯერჯერობით გამომუშავებული არ გვაქვს.

**ა. ე.:** რაზე წყდება ზურაბ ჭიაბერაშვილს გული. რისი გაკეთება უნდოდა მას დედაქალაქის მერობის დროს და ვერ მოასწრო?

**ზ. ჭ.:** არაფერზე არ მწყდება გული. იყო გარკვეული პერიოდი, როდესაც მე ამ თანამდებობაზე ვიყავი, ვაკეთებდი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს და, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ მოესწრო კიდეც. განსაკუთრებით გავუსვამ ხაზს იმას, რომ ქალაქში შუქნიშნებია და სატრანსპორტო მოძრაობა, გარკვეულწილად, დარეგულირდა. ეს თუნდაც ერთი ფაქტია, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს იმის გამო, რომ ის გაკეთდა მაშინ, როდესაც ქალაქის მერი მე ვიყავი.

**რადიომსმენელი:** იყო დრო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ევროსაბჭოს რეკომენდაციებს საკმაოდ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა და დროშას აფრიალებდა, რომ ეს რეკომენდაცია უნდა შევასრულოთ, რადგან ამას ევროსაბჭო გვთხოვს. ბოლო დროს კი, სამწუხაროდ, ეს სიტუაცია შეიცვალა. რატომღაც, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ბედავენ იმის თქმას, რომ ამ ორგანოს რეკომენდაციები მხოლოდ რეკომენდაციებია და მათი შესრულება აუცილებელი არ არის. თქვენ როგორ მოიქცევით და რა პოზიციას დაიკავებთ ამ შემთხვევაში?

**ზ. ჭ.:** ჩემი, როგორც მუდმივი წარმომადგენლის კომპეტენცია არის რაც შეიძლება კარგი კომუნიკაცია საქართველოს ხელისუფლებასა და ევროსაბჭოს შორის და ჩემს პირად აზრებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს და ადამიანს, რომელსაც ადამიანის უფლებათა დემოკრატიის საკითხებში უმუშავია, ბუნებრივია, ამა თუ იმ საკითხზე ჩემი პოზიცია მექნება. ვფიქრობ, ცვლილებას, თითქოს არავინ უსმენს ევროსაბჭოს რეკომენდაციებს, ადგილი არ აქვს. მაგრამ, ევროსაბჭოს რეკომენდაციებიდან თუ რამე შეუსრულებელი დარჩა შევარდნაძის პერიოდის შემდეგ, სწორედ ისინი, რომლებიც ძალიან მგრძნობიარე საკითხებს უკავშირდება და რომლებიც კარგად შეიძლება იყოს გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციისათვის, რაც არც ჩვენს საზოგადოებას წაადგება და არც ჩვენს ურთიერთობას ევროპის საბჭოსთან.

ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ევროსაბჭოს არ ვუყურებთ როგორც უფროს ძმას, რომელიც ჭკუას გვარიგებს. ევროსაბჭოს წარმომადგენლები მუდმივად უსვამენ ხაზს იმას, რომ საქართველო 46 წევრ ქვეყანას შორის ერთ-ერთია და ეს ორგანო ჩვენ გვეკუთვნის, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. საქართველო ევროსაბჭოს წევრია და თავად არის მონაწილე და განმსაზღვრელი იმ პოლიტიკისა, რასაც შემდეგ ზოგადად ევროსაბჭო განახორციელებს. ამიტომ, ჩვენ თუ კარგად გააზრებული გვექნება, რომ გველაპარაკება საკუთარი თავი, ოღონდ სტრასბურგიდან, გაცილებით მარტივად იქნება საქმე.

# "მადნეულისთვის" ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

### კონკურენტები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ

ეთერ მამულაშვილი

*სულ უფრო ცოტა დრო რჩება იმ დღემდე, როცა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს "მადნეულისთვის" მებრძოლ ორ კომპანიას შორის არჩევანს გააკეთებს. მანამდე კი ორივე კომპანიის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირდებიან და სიტყვიერ ბრალდებებსაც უყენებენ. ვინ დგას "მადნეულის" მსურველი კომპანიების უკან და ვინ უკეთეს პირობებს სთავაზობს სახელმწიფოს? ამ საკითხების გარკვევას გუშინ "24 საათი" მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა წყაროებთან ცდილობდა.*



გოგიტა ბახსაძის ფოტო

*ქართულ-ბრიტანული "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსის" პრესკონფერენციაზე.*

თუკი სამშაბათს "მადნეულის" პრეტენდენტი კომპანიები "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" და "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" მთელი დღის განმავლობაში საკუთარი წინადადებების შესახებ ზოგადი კომენტარებით იფარგლებოდნენ, გუშინ ორივე მათგანი საკუთარი უპირატესობების წარმოჩენას მედიის წინაშე უკვე მაქსიმალურად ცდილობდა. მეტიც, ისინი ერთმანეთს გარკვეულ ბრალდებებსაც უყენებდნენ. ამ მხრივ, გუშინ განსაკუთრებით ქართულ-ბრიტანული "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" აქტიურობდა, რომელიც საკუთარი წარმატებებისა და "მიმზიდველი წინადადებების" დემონსტრირებას სპეციალურ პრესკონფერენციაზე ახდენდა.

ქართულ-ბრიტანული კომპანიის იურიდიული მრჩეველი ირაკლი მგალობლიშვილი ირწმუნებოდა, რომ "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" კონკურენტზე ბევრად მეტს, 900 ათასი აშშ დოლარით მეტს იხდის "მადნეულში" და სახელმწიფოს საუკეთესო პირობებსაც სთავაზობს. **"ჩვენი კომპანია მზად არის, 36 მილიონი აშშ დოლარის გარდა, ბოლო თეთრამდე გაისტუმროს ყველა ის ვალდებულება, რომელიც "მადნეულს" ამ დროისთვის გააჩნია. ეს კი, ჩვენს ხელთ არსებული და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაახლოებით 16 მილიონი აშშ დოლარია,"** - განაცხადა ირაკლი მგალობლიშვილმა, თუმცა, მისივე თქმით, "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" უფლებას იტოვებს, შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი 32 მილიონ 500 ათას აშშ დოლარამდე, იმ შემთხვევაში, თუკი **"მადნეულის" დავალიანება რეალურად მეტი აღმოჩნდება,"** - დასძენს მგალობლიშვილი.

ირაკლი მგალობლიშვილმა გუშინ კატეგორიულად უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსის" უკან "მადნეულის" ყოფილი დირექტორი ზურაბ ლობჟანიძე და ძმები ბეჟუაშვილები იდგნენ.

ის გუშინ იმასაც ამტკიცებდა, რომ "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსის" კონკურენტი "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, დაბალი ფასის გარდა, დამატებით ორ პირობას უყენებს. ერთი, ის რომ "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" "მადნეულში" რეაბილიტაციის რეჟიმის მოხსნას მოითხოვს. და მეორე, მგალობლიშვილის თქმით, ბრიტანული კომპანია სამინისტროსგან ითხოვს "მადნეულის" საკუთრების უფლების გაფორმებას იმ მადანზე, რომელიც ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებობს. **"ეს კი მოქმედ კანონმდებლობას ცალსახად ეწინააღმდეგება. რეაბილიტაციის რეჟიმის მოხსნით "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი", ფაქტობრივად, ითხოვს, გაკოტრების კრედიტორთა მიმართ არსებული ვალების ვადამდე დაფარვის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ,"** - ასე განმარტავს იურისტი ირაკლი მგალობლიშვილი.

"ენერგია და ინდუსტრი კომპლექსის" მეორე ბრალდებას, "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" წარმომადგენელი კირილ ვოლკოვი "24 საათთან" საუბრის დროს კატეგორიულად უარყოფს და მას აბსურდულს უწოდებს. ის ამბობს, რომ მის კომპანიას მადანზე საკუთრების უფლების გაფორმების სურვილიც კი არ ჰქონია. რაც შეეხება რეაბილიტაციის რეჟიმის მოხსნას, ვოლკოვი ამბობს, რომ ეს მისი კომპანიის სურვილი უფრო იყო, ვიდრე მოთხოვნა. **"რეაბილიტაციის რეჟიმის მოხსნა, ეს ჩვენი სურვილი იყო და არავითარ შემთხვევაში - აუცილებელი პირობა, რადგან რეაბილიტაციის რეჟიმში შეუძლებელი იქნება იმ დავალიანებების გასტუმრება, რომელიც "მადნეულს" გააჩნია,"** - განუცხადა "24 საათს" კირილ ვოლკოვმა.

"ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" საქართველოს მთავრობას ურჩევს, ამ კონკურსში უპირატესობა მას მიანიჭოს ან ეს კონკურსი საერთოდ ჩაშალოს. **"და თუკი კონკურსი ამჯერადაც ჩაიშლება, გარწმუნებთ, რომ "მადნეულს" სახელმწიფო ველარასდროს გაყიდის,"** - ირწმუნება ირაკლი მგალობლიშვილი. მისივე თქმით, კონკურსის ჩაშლა მთავრობას ხელს არ უნდა აძლევდეს, რადგან ახალი კონკურსის გამოცხადებასა და მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული საკონკურსო პირობების თანახმად კი, "მადნეულთან" დაკავშირებული გარიგება 15 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

გუშინ, დღის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" თავის საკონკურსო წინადადებებში "მადნეულის" ანგარიშზე არსებული 5 მილიონი აშშ დოლარის მისთვის გადაცემასა და საწარმოს დივიდენდების განაწილების უფლებას ითხოვდა. "24 საათი" დაუკავშირდა კომპანიის იურიდიულ მრჩეველს, რომელმაც ჩვენთან საუბარში გავრცელებულ ინფორმაციას "სრული აბსურდი" უწოდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: გუშინ სააგენტო "ინტერპრესნიუსი" ავრცელებდა ინფორმაცის იმის თაობაზე, რომ "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" უკან რუსეთის ენერგეტიკის ექსმინისტრის სერგეი გენერალოვის კუთვნილი რუსული ბიზნესჯგუფი "პრომიშლენნიე ინვესტორი" ("პრომინვესტი") დგას. სააგენტოს ცნობით, ხსენებული რუსული ბიზნესჯგუფის ერთ-ერთი თანამშრომელი "მადნეულის" ყოფილი გენერალური დირექტორი კობა ნაყოფიაა, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან დაახლოებით ერთი თვის წინ გადადგა. ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. სხვათა შორის, "24 საათთან" საუბრის დროს კირილ ვოლკოვმა არ უარყო მისი კომპანიის რუსულ "პრომიშლენნიე ინვესტორი"-სთან კავშირი, მეტიც: ვოლკოვის თქმით, "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" ჰოლდინგ "პრომიშლენნიე ინვესტორი"-ში შედის.

ჯერჯერობით, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ხსენებული რუსული ბიზნეს-ჯგუფის უკან სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების დარგში კახა ბენდუქიძე მოიაზრება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კახეთის რეგიონში რთველი დასრულდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ქარხნების მიერ მიღებული ყურძნის რაოდენობა 69 000 ტონას შეადგენს. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში დამთავრებულია ვენახების პასპორტიზაციის პროცესი. 26 ოქტომბრის მონაცემებით, ქარხნების მიერ მიღებული ყურძნის რაოდენობა 2340 ტონას შეადგენს. მათ შორის, ალექსანდროული, მუჯურეთული - 2050 ტონა, ძველშავი - 290 ტონა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ბაზარმა ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების ახალი ლიმიტები დაამტკიცა. 2005 წლის 25-27 ოქტომბრის საპროგნოზო მაჩვენებლებით, საქართველო ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებული ენერგიის გარდა, სომხეთიდან და რუსეთიდან იმპორტირებულ დენს მიიღებს. აზერბაიჯანიდან შემოსულ ელექტროენერგიას რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის გაზრდილი მოცულობა ჩაენაცვლება. ბოლო მონაცემებით, ენგურჰესზე საშუალო დღეღამური საპროგნოზო გამომუშავება 2.96 მილიონი კილოვატსაათია. ქვეყნის ჰიდრორესურსების საშუალო დღეღამური გამომუშავება 11.3 მილიონი კილოვატსაათია, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერგია - 12.1 მილიონი კილოვატსაათი. რუსეთიდან 9.56 მილიონ კილოვატსაათი ენერგიის, ხოლო სომხეთიდან 2.53 მილიონი კილოვატსაათი ენერგიის მიღება იგეგმება. თბილისი დღეღამეში 5.8 მილიონ კილოვატსაათს მოიხმარს, აჭარის ენერგოკომპანია - 1.31 მილიონ კილოვატსაათს, კახეთის სადისტრიბუციო კომპანია კი - 0,48 მილიონ კილოვატსაათს. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ე.წ. ერთობლივი ავტოსატრანსპორტო სახელმწიფო კომპანია იქმნება. ამის შესახებ გადაწყვეტილება სეპარატისტული მთავრობის სხდომაზე მიიღეს. ეს იქნება კომპანია, რომელიც სოხუმის სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზაზე ყალიბდება და მასში სეპარატისტული მთავრობის წილი არანაკლებ 51 პროცენტია. კომპანია სეპარატისტული სოხუმის ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურის დაქვემდებარებაში შევა. ერთობლივი ავტოსატრანსპორტო კომპანიის შექმნას სეპარატისტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამაც დაუჭირა მხარი. საკითხის განხილვის დროს მთავრობის სხდომას სოხუმის სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობა და ინვესტორი, გერმანიის მოქალაქე მიხეილ ზარანდია ესწრებოდნენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ წელს, საქართველოს ენერგეტიკის სისტემის პრივატიზების პროცესში, ისევე, როგორც ტელეკომის პრივატიზებაში, ამერიკული კომპანიებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ აშშ-ში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ქვეყნის ხაზინაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. ნოღაიდელმა ამერიკის ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მარტში ნიუ-იორკში გაიმართება მორიგი კონფერენცია, "ინვესტ ინ გეორგია," რომელშიც მონაწილეობას საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მიიღებს. ამ კონფერენციაზე მიწვეულნი არიან ყველაზე დიდი ამერიკული კოპანიების წარმომადგენლები. შეგახსენებთ, რომ ნოღაიდელი აშშ-ში ერთკვირიან ვიზიტს 27 ოქტომბერს დაასრულებს. შემდეგ კი, ეუთოს საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ვენაში გაემგზავრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი გიგი უგულავა გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე "ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანას" ეწვია. თბილისის მერმა დაათვალიერა თბილისის მეტროპოლიტენის ის სამი ვაგონი, რომელთა შეკეთების დასრულებაც წლის ბოლომდე იგეგმება. როგორც თბილისის მეტროპოლიტენის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ კიკალიშვილმა განაცხადა, "ვაგონები სრულიად განახლდება, დამონტაჟდება ანტივანდალური სკამები და მართვის უახლესი სისტემებით აღიჭურვება." გიგი უგულავამ აღნიშნა, რომ ვაგონების შეკეთებას თბილისის ბიუჯეტი დააფინანსებს. მისივე განცხადებით, თითოეული ვაგონის შეკეთება 250 ათასი აშშ დოლარი ჯდება, ახალი ვაგონის შეძენა კი - 700 ათასი აშშ დოლარი. თბილისის მეტროპოლიტენს სულ 220 ვაგონი ემსახურება და მათი შეკეთება ორი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდაში მონაწილეობის სურვილი 2 417 მოქალაქემ გამოთქვა.

შესული განცხადებებიდან 1850 თბილისზე, 567 კი ბათუმზე მოდის.

საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველთა ტესტირება 5 ნოემბერს დაიწყება. ტესტირების გავლის შემდეგ, კონკურსის წესით ის პირები გამოვლინდებიან, ვინც საოლქო საარჩევნო კომისიებში იმუშავებენ. ამავე წესით შეივსება ცესკო-ს აპარატში არსებული ვაკანსიებიც. ამისთვის კი სერთიფიცირებულ კონკურსანტებს 70-ზე მეტი ქულის მოპოვება მოეთხოვებათ. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შემდეგ, სერთიფიცირების პროცესი საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

## მოკლედ

### ეკონომიკის მინისტრი, შესაძლოა, წინანდლის სახლ-მუზეუმის პრივატიზაციის საკითხს გადააყოლონ

ეკონომიკის განვითარების მინისტრი, შესაძლოა, საქართველოს პარლამენტმა წინანდლის სახლ-მუზეუმის პრივატიზაციის საკითხს გადააყოლოს. როგორც საქართველოს პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ზურაბ დავითაშვილმა აღნიშნა, ირაკლი ჩოგოვაძე პარლამენტში უნდა გამოცხადდეს და პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც დეპუტატებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის პრივატიზაციასთან დაკავშირებით დასვეს. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იგი დაუკავშირდა პრემიერ-მინისტრსა და თავად ეკონომიკის მინისტრს და "შეთანხმდნენ, რომ ორშაბათს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეების შეხვედრაზე ეკონომიკის მინისტრი მობრძანდება და საკითხი საბოლოოდ გაირკვევა." "პარლამენტის ჩარევით, მთავრობის სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულია წინანდლის სახლ-მუზეუმის საკითხის განხილვა," - აღნიშნა ბურჯანაძემ. პარლამენტის წევრის ირაკლი იაშვილის განცხადებით, წინანდლის სახლ-მუზეუმის პრივატიზაციის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და საკითხში გარკვევა პარლამენტის მხრიდან აზრს კარგავს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, "თუკი ექსპონატების ბედი ისე არ გადაწყდება როგორც საჭიროა, მაშინ ეკონომიკის მინისტრის ბედი იქნება გადაწყვეტილი." **ინტერპრესნიუსი**

### აზარტული თამაშების მოწყობისთვის საჭირო სანებართვო გადასახადი ორმაგდება

პარლამენტმა დღეს, პირველი მოსმენით, სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი განიხილა. ცვლილებების მიხედვით, წამახალისებელი გათამაშების, ლოტოსა და ბინგოს მოწყობა 3 ათასი ლარი ეღირება, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა - 4 ათასი, ტოტალიზატორის მოწყობა კი - 6 ათასი ლარი. აქამდე, აღნიშნული გადასახადები აღნიშნული თანხის ნახევარი იყო. უცვლელი რჩება სამორინეების მოწყობაზე არსებული სანებართვო გადასახადები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ბათუმისა და წყალტუბოსი. სამორინეს მოწყობა 5 მილიონი ლარი ეღირება. ბათუმის ტერიტორიაზე - 1 მილიონი, ხოლო წყალტუბოში ასეთი გადასახადი საერთოდ გაუქმებულია. პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა, ასევე, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ კანონში ცვლილებებიც. ცვლილებების მიხედვით, გამარტივდება ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, უქმდება ნებართვის შეჩერების ნორმა. თუ აქამდე სანებართვო და სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის ლიცენზიის შეჩერება ხდებოდა, ამჯერად ამას ჯარიმა შეცვლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ნიდერლანდების ეროვნული ბანკი საქართველოს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ნიდერლანდების სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ნიდერლანდების ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნოუტს ველინკს შეხვდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოსა და ნიდერლანდების ეროვნულ ბანკებს შორის ურთიერთობის დამყარების საკითხებს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ნაღდი ფულისა და უცხოური ვალუტის რეზერვების მართვის საკითხებში ნიდერლანდების მხარის შესაძლო დახმარებას.*

გოგა კალაძე

ნიდერლანდებში უკვე 10 წელია, რაც რეგიონული საკასო ცენტრების რესტრუქტურიზაციისა და ოპტიმიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ქვეყნის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამ საკითხით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ მსგავსი პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს. მისი თქმით, ნიდერლანდების გამოცდილების გაზიარება საქართველოსათვის მნიშვნელოვანია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თავისი ჰოლანდიელი კოლეგა საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

ვიზიტის პროგრამით დაგეგმილი იყო შეხვედრა ბანკნოტების მწარმოებელი კომპანიის Johan Enschede-ს ოფისში, რომელმაც საქართველოსთვის უკვე დაბეჭდა 1, 2 და 5 ლარის ნომინალის ბანკნოტები. ასევე გათვალისწინებულია შეხვედრა ნიდერლანდების სამთავრობო სააგენტო - ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიაში. ვიზიტის ფარგლებში განიხილება თბილისის გარეუბანში საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი საკასო ცენტრის ორგანიზებისათვის ნიდერლანდების მხარის მიერ ფინანსურ-ტექნიკური და მეთოდოლოგიური დახმარების საკითხი. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გრანტის შესაძლო გამოყოფის თაობაზე საკითხს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განიხილავს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკისა და ქალაქ თბილისის განვითარების პერსპექტივის შესაბამისად, ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავის განთავსებას ქალაქგარეთ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გეგმავს. ახალი საკასო ცენტრი გააკონტროლებს ნაღდი ფულით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მოახდენს ფასეულობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის ერთიან, დახურულ სივრცეში უსაფრთხო წარმოებას.

# ბაქო-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ექსპორტის ვადა ისევ შეიცვალა

აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ექსპორტის ვადა ისევ შეიცვალა. ამის მიზეზი მილსადენის თურქული ნაწილის მშენებლობის შეფერხებაა. ამ მშენებლობაზე თურქეთის სახელმწიფო კომპანია BOTAS მუშაობს. ვარაუდობენ, რომ "აზერის" საბადოს ნავთობით დატვირთული ტანკერი თურქეთის პორტ ჯეიჰანიდან 2006 წლის 1 კვარტალში გავა. ამის შესახებ განცხადებას კომპანია "ბიპი-აზერბაიჯანის" პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი აკეთებს. მისი თქმით. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალი, გარკვეულწილად, დაძაბული იქნება და მილსადენზე მშენებლობა იმაზე მეტ დროს წაიღებს, რაც დაგეგმილი იყო. ამასთან, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნათიკ ალიევი, რომელიც, ამავე დროს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა, დარწმუნებულია, რომ წლის ბოლოს ჯეიჰანიდან ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერის გასვლა მაინც მოხერხდება. "ჯერჯერობით, მილსადენის კომპანიის ხელმძღვანელობას პირველი ტანკერის გასვლის ადრინდელი გრაფიკი ოფიციალურად არ შეუცვლია," - აცხადებს ნათიკ ალიევი. აღსანიშნავია, რომ ჯეიჰანის პორტიდან პირველი ტანკერის გასვლის გრაფიკი რამდენჯერმე შეიცვალა: თუკი მილსადენის მშენებლობის დასაწყისში ვარაუდობდნენ, რომ პირველი ტანკერი ნავთობით 2005 წლის მაისში დაიტვირთებოდა, შემდეგ, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ეს ვადა სამჯერ გადაიხედა და საბოლოოდ, 2005 წლის 15 დეკემბერი დასახელდა.

*მედიანიუსი*

# იუსტიციის სამინისტრო ადვოკატის ბრალდებებს უარყოფს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.*

მომხდარი ფაქტის შესახებ, რომელსაც ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა" გუშინ სპეციალური პრეს-კონფერენციაზე მიუძღვნა, "24 საათი" უკვე წერდა. საუბარია, ცენტრის ადვოკატ ალექსი შოშიკელაშვილსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძეს შორის ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარ ინციდენტზე.

მომხდართან დაკავშირებით, გუშინ კომენტარი უკვე დაზარალებულმა ადვოკატმა გააკეთა. ალექსი შოშიკელაშვილის განცხადებით, გუშინწინ, თბილისის N1 საპყრობილეში მისი დაცვის ქვეშ მყოფების მონახულებას გეგმავდა, დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში ელოდებოდა საშვის დაშვებას, თუმცა, უშედეგოდ. შოშიკელაშვილის თქმით, ამ დროს მან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე შენიშნა, რომელსაც სიტუაციის გარკვევა და დახმარება სთხოვა. **"კოპაძემ მოულოდნელად სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა. იგი უცენზურო სიტყვებით მომმართავდა და თავის თანამშრომლებს უბრძანა, რომ "შეეთრიე" შენობაში, რის შემდეგაც იგი გამისწორდებოდა როგორც სამართლებრივი, ისე არასამართლებრივი მეთოდებით",** - განაცხადა ადვოკატმა.

მისივე ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა იგი ე.წ. "კრიტის" გვერდით მდებარე შენობაში შეიყვანა, სადაც დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში უკანონოდ იყო დაკავებული და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა.

შოშიკელაშვილის განცხადებით, მან მოახერხა "კონსტიტუციურ უფლებათა დაცის ცენტრისა" და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის აღნიშნული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რის შემდეგაც იგი გაათავისუფლეს.

ალექსი შოშიკელაშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის უკანონო დაკავებას, თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, მისი დაცვის ქვეშ მყოფების უფლებების დარღვევას და თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას.

ადვოკატი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირებას საქართველოს გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს და საქართველოს იუსტიციის მინისტრ კოტე კემულარიას სთხოვს.

მომხდარ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, მას შეურაცხყოფა ალექსი შოშიკელაშვილისთვის არ მიუყენებია. პირიქით, შოთა კოპაძეს აღელვებულმა ადვოკატმა დაუწყო ჩხუბი. პრესსამსახურის განცხადებით, ადვოკატის საპყრობილეში შესვლა დაყოვნდა იმის გამო, რომ N1 საპყრობილეში იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური ფართომასშტაბიან ჩხრეკას ატარებდა, რის გამოც, ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრა, ამანათების გადაცემაც კი, შეჩერებული იყო.

*24 საათი*

# ევროსასამართლომ ლევან კენჭაძის საქმე წარმოებაში მიიღო

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ საქართველოდან გაგზავნილი კიდევ ერთი განცხადება-საჩივარი წარმოებაში მიიღო. საქმეს სახელწოდებით - "ლევან კენჭაძე საქართველოს წინააღმდეგ" - უკვე შესაბამისი ნომერი აქვს მინიჭებული. სტრასბურგის სასამართლოდან გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის საქმეს ევროპელი მოსამართლეები შესაძლებლობისთანავე, დაჩქარებული წესით განიხილავენ. პროცედურები წერილობითია და მომჩივანებს სტრასბურგში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიწვევენ, თუკი ამას სასამართლო კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს.*

ლევან კენჭაძის საქმის წარმოებაში მიღების შესახებ შეტყობინება თბილისში მას შემდეგ მოვიდა, რაც უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს საბოლოო ვერდიქტი - ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საკასაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კენჭაძისთვის გამოტანილ განაჩენს ორი წელი მოაკლო. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს ამ განაჩენის შესახებ არ მოუწევს მსჯელობა. ევროსასამართლომ უნდა დაადგინოს, ქართულმა მართლმსაჯულებამ რამდენად კანონიერად ჩამოართვა დაუსაბუთებლად მიჩნეული ქონება ყოფილ ჩინოვნიკს (დაუსაბუთებლობის მოტივით კენჭაძეს სოფელ დიღომში და თბილისში, ბროსეს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლები ჩამოერთვა).

მსჯავრდებულის ადვოკატის არჩილ კბილაშვილის განმარტებით, დაცვის მხარემ სტრასბურგის სასამართლოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე უნდა შეატყობინოს. ევროპის სასამართლოს საქმის განხილვის ოთხწლიანი ვადა გააჩნია. ადვოკატი თითქმის დარწმუნებულია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სტრასბურგის სასამართლოში პროცესს მოიგებს და საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ სოლიდური სანქციაც დაეკისრება.

**"ლევან კენჭაძის კუთვნილი ქონების დასაბუთებულობის განხილვისას, ქართულმა სასამართლომ უხეშად დაარღვია ევროპული კონვენციის ნორმები. კერძოდ, ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობის აუცილებლობისა და საკუთრების უფლების ხელყოფის დაუშვებლობასთან დაკავშირებული მუხლები. ამ მუხლების დარღვევის გამო, ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით, უკვე დააკისრა ჯარიმა, ანუ, სტრასბურგის მოსამართლეებმა გადაწყვეტილება მომჩივანის სასარგებლოდ მიიღეს,"** - აცხადებს ლევან კენჭაძის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი.

სხვათა შორის, ევროპული კონვენციის სწორედ ამ ორი მუხლის - ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არარსებობისა და საკუთრების უფლების ხელყოფის დაუშვებლობის - უხეშად დარღვევისთვის დააკისრა ცოტა ხნის წინ სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას (ოღონდაც წინა ხელისუფლების უსამართლობისთვის) კერძო კომპანია "ამატ-ჯი-ს" სასარგებლოდ 200 ათასი ევროს გადახდა. "ამატ-ჯი"-ს ინტერესებს, ისევე როგორც უშიშროების ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსისას, სტრასბურგში არჩილ კბილაშვილი იცავდა.

*24 საათი*

# "იაპონჩიკი" სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

პირველი გვერდიდან

სასამართლოს მიერ გამართლებულმა ვიაჩესლავ ივანკოვმა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტიც მიიღო. **"ცოტა ხნის წინ მე და ვიაჩესლავ ივანკოვმა დავტოვეთ საგამოძიებო იზოლატორი, სადაც მას პირად ნივთებთან ერთად გადასცეს რუსეთის მოქალაქის პასპორტი, მოსკოვში მუდმივი რეგისტრაციით,"** - განაცხადა "იაპონჩიკის" ადვოკატმა სერგეი კოტელევსკიმ. მისივე თქმით, აქამდე ივანკოვს არ ჰქონდა საშუალება შეეცვალა საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტი.

**"გმადლობთ!"** - ასე დაემშვიდობა ნაფიც მსაჯულთა 12-კაციან ჟიურის მათ მიერ უდანაშაულოდ გამოცხადებული ივანკოვ-"იაპონჩიკი", მოგვიანებით კი მოსკოვის სასამართლოს ფოიეში ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ პატიობს ყველა იმ ადამიანს, ვინც მის მიმართ არამეგობრულად იყო განწყობილი. მისივე თქმით, იგი ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს - ამჟამად, ლიტერატურითაა დაინტერესებული, უფრო ზუსტად, წიგნის დაწერა გადაწყვიტა. მოკლე ბრიფინგი ივანკოვმა ჟურნალისტებისადმი გამოთქმული მუქარის ტექსტით დაასრულა: **"იმედი მაქვს, რომ თქვენ საზრიანი ადამიანები ხართ, რომელთაც ესმით ადამიანური საუბარი. არადა..."** სხვათა შორის, ჟურნალისტების მისამართით პრეტენზია ივანკოვმა განაჩენის გამოცხადებამდე რამდენიმე წუთით ადრეც გამოთქვა, როცა მან ჟურნალისტებს შეკითხვით მიმართა: **"მე მაინტერესებს, რომელიმე თქვენთაგანს როდისმე გავეცანი, როგორც "იაპონჩიკი"? რომელიმე თქვენთაგანი პირადად მიცნობთ? თუ თქვენ ზრდილობა გაგაჩნიათ, რატომ მიხსენიებთ როგორც "იაპონჩიკს"?"**.

მიუხედავად მუქარისა, რუსი ჟურნალიტები მას კვლავაც "იაპონჩიკად" - ლეგენდარულ "კრიმინალურ ავტორიტეტად" მოიხსენიებენ.

რუსული პრესა წერს, რომ "იაპონჩიკი" "კანონიერ ქურდობაზე" ბავშვობიდან ოცნებობდა, 14 წლიდან ქურდობდა და ყველაზე რისკიან საქმეებზე მიდიოდა, რათა "ავტორიტეტის" სახელი მოეპოვებინა. მიუხედავად ხანგრძლივი კრიმინალური მოღვაწეობისა, იგი უკვე 26 წლის იყო, როცა პირველად ჯიბის ქურდობისთვის გაასამართლეს. 1981 წელს "იაპონჩიკი" კიდევ ერთხელ დააპატიმრეს და 14 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ, უკვე "კანონიერი ქურდი", ცნობილი რუსი მომღერლების, მსახიობებისა და ადამიანის უფლებების დამცველთა შუამდგომლობის საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლების შემდეგ, ის მალევე გაემგზავრა ამერიკაში, სადაც 15 ათასი დოლარის სანაცვლოდ, გააფორმა ფიქტიური ქორწინება ამერიკელ ირინა ოლასთან.



სასამართლოდან გამოსული "იაპონჩიკი" ჟურნალისტებს დაემუქრა.

ნიუ-იორკში ივანკოვის ჩასვლისთანავე, ბრუკლინში საგრძნობლად იმატა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან აშშ-ში ჩასული ადამიანების მკვლელობების რიცხვმა. მართალია, FBI-ის მკაცრი მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული ივანკოვზე, მაგრამ მის დაპატიმრებას მტკიცებულებების არარსებობის გამო ვერ ახერხებდა. თუმცა, საბოლოოდ ის, ფულის გამოძალვის ბრალდებით, მაინც დააპატიმრეს და 1997 წელს ამერიკის სასამართლომ ივანკოვი საემიგრაციო კანონის დარღვევისთვის, ფიქტიური ქორწინების გაფორმებისა და ფულის გამოძალვისთვის გაასამართლა და 9 წლითა და 7 თვით პატიმრობა მიუსაჯა. 2000 წელს მოსკოვის პროკურატურამ "იაპონჩიკი" თურქეთის მოქალაქეების მკვლელობაში დაადანაშაულა და 2004 წელს ამერიკელ სამართალდამცველებს მისი გადმოცემის თხოვნით მიმართა. აშშ-ს ხელისუფლებამ მოთხოვნა დააკმაყოფილა და "იაპონჩიკი" რუსეთს გადასცა.

რამდენიმე თვის წინ კი, უდანაშაულოდ გამოცხადებული "იაპონჩიკი" პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თუმცა, მოსკოვის პროკურატურამ რუსეთის უმაღლეს სასამართლოს საკასაციო საჩჩელით მიმართა და მოსკოვის სასამართლოს მიერ გამოტანილი უსაფუძვლო განაჩენის, როგორც უკანონოს, გაუქმება მოითხოვა. ჯერჯერობით რუსეთის უმაღლეს სასამართლოს "იაპონჩიკის" საქმე არ განუხილავს.

მოსკოვის პროკურატურამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს ოლეგ პიპჩენკოვს "იაპონჩიკის" საქმის ახალი მტკიცებულებებით კიდევ უფრო გამყარება მოსთხოვა, რათა რუსეთის უმაღლეს სასამართლოს ვრცელი და საფუძვლიანი მასალა წარუდგინონ.

სხვათა შორის, "რუსული მაფიის" ნათლიმამა ვიაჩესლავ ივანკოვი და "შავ სამყაროში" დიდი გავლენის მქონე, საქართველოში კარგად ცნობილი დავით სანიკიძე უახლოესი მეგობრები იყვნენ. **"ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მონაცემებით, სანიკიძე ერთადერთი იყო, ვისაც ივანკოვის ანგარიშებზე ხელის მოწერის უფლება ჰქონდა. ეს ფაქტი კი მრავლისმეტყველია იქიდან გამომდინარე, რომ საქმე მილიარდობით დოლარს ეხებოდა"**, - წერდა თავის დროზე ყოველკვირეული გამოცემა "Wirtschafts Woche".

როდესაც ვიაჩესლავ ივანკოვი ამერიკელ სამართალდამცველებს ჩაუვარდათ ხელში, მან თავის მემკვიდრედ შეარჩია არა რომელიმე "კანონიერი ქურდი", არამედ, როგორც მაშინდელი პრესა წერდა, პოლიტიკურ და ბიზნესწრეებში საკმაოდ გავლენიანი ადამიანი - დავით სანიკიძე, რომლისთვისაც ვენაში, სადაც ივანკოვის ერთ-ერთი ვაჟი ცხოვრობდა, ყოველთვის ყველა კარი ღია იყო. თუმცა, საბოლოოდ, რუსული მაფიის სათავეში მოქცევა სანიკიძემ ვერ მოასწრო, რადგან იგი ვენაში მოკლეს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible] (გლდანი);
2. [illegible];
3. [illegible] "თავისუფლების მოედანი";
4. [illegible];
5. [illegible];
6. [illegible];
7. [illegible] (ყოფილი [illegible]);
8. [illegible];
9. [illegible];
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] შეკითხვით, [illegible] მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".


## მოკლედ

### თავდამსხმელებმა ცოლ-ქმარი სასტიკად აწამეს

ყაჩაღური თავდასხმა მოხდა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში. ვალიკო ჭედიას ოჯახს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედი. თავდამსხმელებმა ვალიკო ჭედიასაგან და მისი მეუღლისგან 5 ათასი დოლარი მოითხოვეს. ცოლ-ქმარმა ბოროტმოქმედებს განუცხადა, რომ არანაირი თანხა არ გააჩნდათ, რის შემდეგაც ყაჩაღებმა ისინი გამოიყვანეს სახლიდან და მდინარე ენგურის პირას პატარა ქოხში დაამწყვდიეს, სადაც გათენებამდე მათ სასტიკად აწამებდნენ. გამთენიისას, ენგურის ნაპირის გასწვრივ საპატრულო შემოვლას აწარმოებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ოცეული, რომლის დანახვაზეც ბოროტმოქმედებმა გაქცევით უშველეს თავს. ცოლ-ქმარი სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გაათავისუფლეს. როგორც გაირკვა, თავდამსხმელებს გააჩნდათ ინფორმაცია, რომ ვალიკო ჭედიას ოჯახმა ცოტა ხნის წინ თხილი ჩააბარა და სახლში გარკვეული თანხა იყო. **ინტერპრესნიუსი**

### რუსთავის N6 საპყრობილის ადმინისტრაციაში მუშაობა 300-მდე ადამიანს სურს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 საპყრობილის ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იუსტიციის სამინისტროს 300-მდე მსურველმა მიმართა. ადმინისტრაციაში 200-მდე ვაკანსიაა. მსურველთა საბუთების მიღება იუსტიციის სამინისტროში 6-დან 21 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ რიგში მოხდება კონკურსანტთა გადარჩევა წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე, განათლებისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. ამის შემდგომ, ნოემბრის დასაწყისში, საპყრობილეში მუშაობის დაწყების მსურველები გასაუბრებას საკონკურსო - საატესტაციო კომისიასთან გაივლიან. რუსთავის საპყრობილეში გამოცხადებული კონკურსი, ქუთაისის საპყრობილის კონკუსის შემდეგ, მეორეა, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში გამოცხადდა. მისი მიზანი ახალ საპყრობილეებში ადმინისტრირების ახალი მოდელის დასამკვირებლად კვალიფიციური კადრების შერჩევაა. საპყრობილეში საშუალო ხელფასი 400 ლარი იქნება. რუსთავის ახალი, 800-ადგილიანი საპატიმროს გახსნა ნოემბერში იგეგმება. მისი რეკონსტრუქციისათვის საჭირო 1.7 მლნ. ევრო ევროკომისიამ გაიღო. 1500-ადგილიან ქუთაისის საპყრობილის ადმინისტრაციაში უკვე შერჩეულია 300-მდე თანამშრომელი. მათ, კონკურსის გავლის შემდეგ, ერთთვიანი მოსამზადებელი კურსიც გაიარეს. **მედიანიუსი**

### საპყრობილეში ფართომასშტაბიანი ჩხრეკა ჩატარდა

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურმა ფართომასშტაბიანი ჩხრეკა ჩაატარეს, რომლის შედეგად სხვადასხვა დასახელების აკრძალული ნივთები ამოიღეს. საპყრობილის კორპუსებში საკნებისა და პატიმრების ჩხრეკისას აღმოჩენილია 26 ცალი მობილური ტელეფონი, 40 ცალი მობილური ტელეფონის დამტენი, 71 ცალი ჩანგალი, 6 ცალი შტირი (ბასრი საგანი), 12 ცალი დანა, 2 ცალი რკინის ხერხი. აკრძალული ნივთების საპყრობილეში არსებობასთან დაკავშირებით გამოძიებას იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ჩაატარებს. **ინტერპრესნიუსი**

### დაკავებული პრორექტორი თავს დამნაშავედ არ ცნობს

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს ელდარ ბორჩაშვილს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ბრალს, სავარაუდოდ, ქრთამის გამოძალვის მუხლით წაუყენებენ, რაც 5-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ბრალის წარდგენის შემდეგ, გამოძიების მხარე დაკავებულისთვის აღმკვეთის ღონისძიების შერჩევის შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს. გამოძიების ინფორმაციით, ბორჩაშვილმა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტს ბიოლოგიის ფაკულტეტიდან ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე გადაყვანის სანაცვლოდ 800 დოლარი გამოსძალა. თავად ბორჩაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ მას სესხის სახით ჰქონდა გაცემული აღნიშნული თანხა და ვალი დაუბრუნეს. **ინტერპრესნიუსი**

### არასრულწლოვანთა ახალ საპყრობილეში პატიმრების გადაყვანა დასრულდა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა ახალ საპატიმროში თბილისის N1 საპყრობილიდან პატიმრების გადაყვანა გუშინ დასრულდა. N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში ერთი კვირის წინ გახსნილ არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილებაში 59 პატიმარი ცოტა ხნის წინ გადაიყვანეს. მათ რიცხვს თბილისის N1 საპყრობილეში მყოფი 23 არასრულწლოვანიც შეემატა. ქალთა საპატიმროს მიმდებარე ტერიტორიაზე 130-ადგილიანი არასრულწლოვანთა საპყრობილის მშენებლობა 10 თვის წინ დაიწყო. ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი დაიხარჯა. ევროსტანდარტებით აღჭურვილ ორსართულიან შენობაში განთავსებული ოთხადგილიანი საკნები ახალი ავეჯით მოეწყო. საპატიმრო განყოფილებას აქვს სააბაზანო, სასეირნო, საგამოძიებო ოთახები და სხვა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანები აქამდე თბილისის N1 საპყრობილეში ელოდნენ გამოძიების დასრულებასა და სასამართლო განხილვას. მათთვის პირობების გაუმჯობესების გარდა, ახალი საპყრობილის გახსნა თბილისის N1 საპყრობილის განტვირთვასაც ემსახურება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისში, ბაქტრიონის ქუჩაზე საპატრულო პოლიციამ წუხელ ორი მოქალაქის მიერ ტაქსის დაყაჩაღების მცდელობა აღკვეთა. ყაჩაღებმა პატრულს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ინციდენტის შედეგად ერთ-ერთი დამნაშავე ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში დაიჭრა. მოგვიანებით, პატრულმა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები რესპუბლიკურ საავადმყოფოში დააკავა, რომლებიც იქ სამედიცინო დახმარების მისაღებად მივიდნენ. ყაჩაღობაში ეჭვმიტანილთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე ამირან მუშკუდიანი დააკავეს. როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, მესაზღვრეებმა საზღვრის დამრღვევი რეგიონული სამმართველოს "აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფის" მიმდებარე ტერიტორიაზე მაშინ დააკავეს, როდესაც თურქეთიდან საქართველოში გადმოსვლას საკონტროლო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით ცდილობდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაკავებული შემდგომი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**


## ინფორმაცია

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის" სამედიცინო და საოფისე ავეჯის შესყიდვაზე გამარჯვებულ ორგანიზაციასთან - შპს "ჯი ემ ეს"-თან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## ინფორმაცია

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის" ლაბორატორიული და სისხლის ბანკის აღჭურვილობის შესყიდვაზე გამარჯვებულ ორგანიზაციებთან - სს "მედინსერვთან", შპს "ჯი პი სი"-სთან, შპს "ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯიასთან", შპს "ივერმედთან" და შპს "ჯი ემ ეს"-თან დაიდო ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## ინფორმაცია

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამარჯვებულ ორგანიზაციებთან - სს "იმერეთი 1"-თან; სს "მონოლითშენთან"; შპს "მაქსსერვისთან"; შპს "ხილიანთან"; შპს კომპანია "მესჯიოღლუსთან"; შპს "ბლოკ-ჯორჯიასთან"; შპს ს/კ "საქკურორტის" გორის სამშენებლო სამმართველოსთან - დაიდო ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

ინფოთეკა

## "ალავესი" "ბარსელონას" უჩივის

ესპანეთის "ალავესი" ამტკიცებს, რომ "ბარსელონას" არგენტინელი ფორვარდი ლიონელ მესი ლიცენზიის გარეშე თამაშობს. საქმე ის არის, რომ მესიმ მიიღო ლიცენზია, როგორც ახალგაზრდა არაევროპელმა ფეხბურთელმა, რომელმაც "ბარსელონას" იუნიორთა რიგებში ხუთი წელი ითამაშა. თუმცა ეს წესი უკვე გაუქმებულია. მესის ესპანეთის მოქალაქეობაც აქვს, თუმცა "ალავესი" ამტკიცებს, რომ არგენტინელმა ეს პატივი უკანონოდ მიიღო. ამავე სახის საჩივრით ერთხელ უკვე გამოვიდა ლა კორუნიას "დეპორტივო", მაგრამ მისი აპელაცია არ დააკმაყოფილეს.

## უესლი ბრაუნმა ტრავმა მოიშუშა

ინგლისის ნაკრების მცველმა უესლი ბრაუნმა ტრავმა მოიშუშა და "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუბრუნდა. მიმდინარე სეზონში ბრაუნმა მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა. შემდეგ ქუსლი დაიზიანა და დიდი ხნით გამოაკლდა გუნდს.

## "რივერს" ინტერის" ტრიო სჭირდება

არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "რივერ პლეიტი" მილანის "ინტერის" არგენტინული ტრიოთი დაინტერესდა - ხავიერ ძანეტი, ხულიო კრუზი და ხუან სებასტიან ვერონი. თუმცა "რივერი" უარს არ იტყოდა მარტოოდენ ვერონის შეძენაზეც, რომელიც სეზონის ბოლოს "ინტერის" დატოვებას აპირებს. აღსანიშნავია, რომ ვერონის შეძენით "ბოკა ხუნიორსიც" დაინტერესებულია.

## სტამი "მილანიდან" მიდის

ამ სეზონის ბოლოს "მილანის" ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი იტალიას დატოვებს და ჰოლანდიაში დაბრუნდება.ჰოლანდიელი მცველის კონტრაქტს ყავლი 2007 წელს გასდის, მაგრამ ფეხბურთელი აპირებს ტრანსფერი უკვე ზაფხულში მოითხოვოს. "იაპის კონტრაქტი მოქმედებს, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნება სურს, რათა უფრო მეტი დრო გაატაროს ოჯახურ წრეში. სტამით ორი კლუბია დაინტერესებული. ჩვენ მოლაპარაკების პროცესში ვერთვებით" - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჰენკ ვან ჰინკელმა.

## ბექჰემს წითელი ბარათი გაუუქმეს

წითელი ბარათი, რომელიც "ვალენსიასთან" შეხვედრაში დევიდ ბექჰემმა მიიღო, გაუქმებულია. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "რეალის" სარჩელი დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, რომ ბექჰემი მინდვრიდან მატჩის არბიტრის არტურო დაუდენა იბანიესის მიმართ სარკაზმული აპლოდისმენტების გამო გააძევეს. "ბექჰემმა მეორე გაფრთხილება იმავე მიზეზით მიიღო, რა მიზეზითაც პირველი" - განაცხადა დისციპლინარული კომისიის თავმჯდომარე ალფრედო ფლორესმა.

## ხარისტეასი საავადმყოფოში მოხვდა

ამსტერდამის "აიაქსის" ბერძენი ფორვარდი ანგელოს ხარისტეასი საავადმყოფოში მოხვდა. ფეხბურთელმა თავი ცუდად ამსტერდამის ერთ-ერთ კაფეში იგრძნო. მას გული წაუვიდა და ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა განაცხადეს, რომ გულშემოყრა, რომელიც ბერძენ ფორვარდს დაემართა არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება ტვინის შერყევას, რომელიც ხარისტეასმა ლონდონის "არსენალთან" შეხვედრაში მიიღო.

## ტიგანა "ბეშიქთაშს" გაწვრთნის?

სტამბულის "ბეშიქთაშის" მთავარ მწვრთნელად შეიძლება ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ჟან ტიგანა დაინიშნოს. თურქული პრესის ცნობით კლუბის პრეზიდენტმა იილდირიმ დემირერენმა უკვე მიაღწია ტიგანასთან პრინციპულ შეთანხმებას. ხოლო ფრანგისა და თურქული კლუბის კონტრაქტი სეზონის ბოლომდე იმოქმედებს. რაც შეეხება ჟან ტიგანას, მან თურქულ კლუბთან მოლაპარაკება უარყო.

ფეხბურთი

# არგენტინა ახალი მარადონას მოლოდინში: ლიონელ მესი

შესაძლოა, გასულ სამშაბათს "ბარსელონას" გულშემატკივრების ყურადღება "უდინეზეს" კარში სამი გოლის გამტანი რონალდინიოზე იყო კონცენტრირებული. მაგრამ, ამ "ჰეთ თრიკის" მიუხედავად, სწორედ ახალგაზრდა არგენტინელმა, ლიონელ მესიმ მიიღო საქებარი სიტყვები "ბარსას" მთავარი მწვრთნელის, რიიკარდისგან.

### პერსპექტიული მოთამაშე

"უდინეზეს" წინააღმდეგ მატჩში მესის "ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა თინეიჯერი არგენტინელის კარიერის ახალი ეტაპი აღმოჩნდა. მას უკვე დიდ დიეგოსაც კი ადარებენ. ამჟამად მესი უკვე არგენტინის ეროვნული ნაკრების მოთამაშედ ითვლება, ხოლო მცირე წლის წინ "ბარსელონას" ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელსაც პრიმერადივიზიონში გოლი გაუტანია. მესის მიერ ესპანეთის მოქალაქეობის მიღების ფაქტი გასულ კვირაში ესპანური პრესის მთავარი სიახლე და ყველაზე მეტად განხილვადი თემა აღმოჩნდა.

### სიჩქარის მახასიათებლები

მიუხედავად იმისა, რომ მესიმ "უდინეზესთან" გოლი ვერ გაიტანა, მან ამ შეხვედრაში, რომელიც კატალონიელთა გამარჯვებით, 4:1 დასრულდა, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. არგენტინელმა არაერთი სოლორეიდი განახორციელა იტალიელთა საჯარიმოში და ამ დროს არაჩვეულებრივი დრიბლინგის და სისწრაფის დემონსტრირებას ახდენდა.

### პირველი გოლი

სწორედ ერთ-ერთი ასეთი სლალომი გახდა "უდინეზეს" კარში გატანილი პირველი გოლის მიზეზი. უდინელთა მცველმა ვიდიგალმა, რომელიც არგენტინელისთვის ბურთის წართმევას ცდილობდა, საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან წესი დაარღვია, რითაც ყვითელი ბარათიც დაიმსახურა და სახიფათო ჯარიმაც დაინიშნა. რონალდინიომ ეს სტანდარტი ბრწყინვალედ შეასრულა.

### ნიჭიერი აღსაზრდელი

მესი დაიბადა არგენტინის ქალაქ როსარიოში, თუმცა კი, იგი გახლავთ სწორედაც რომ "ბარსელონას" ფეხბურთის ახალგაზრდული აკადემიის მორიგი ნიჭიერი აღსაზრდელი. "ბარსა" დამსახურებულად ამაყობს იმით, რომ ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიცაა რონალდინიო, ეტპპ და დეკუ, თამაშობენ მისსავე აკადემიაში აღზრდილი და ვარსკვლავებად ჩამოყალიბებული ფეხბურთელები. ასეთები კი მესისთან ერთად არიან კარლეს პუიოლი, ხავი, ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი და ინიესტა.



ლიონელ მესის ახალ მარადონად მოიხსენიებენ.

### უმცროსი მარადონა

მესი 1987 წლის ივლისში დაიბადა და უკვე 5 წლისამ დაიწყო საფეხბურთო სექციაში სიარული. მისი პირველი მწვრთნელი გახლდათ მამა - ხორხე მესი, რომელიც საფეხბურთო კლუბ "გრანდოლიში" ბავშვთა მწვრთნელად მუშაობდა. ყმაწვილი მესის ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენია საფეხბურთო კლუბ "ნიუელზ ოლდ ბოიზს", სადაც ლიონელის უფროსი ძმა, როდრიგო თამაშობდა. გუნდის მწვრთნელი, ენრიკე დომინგესი მაშინვე მიხვდა, რომ მის გუნდში გამოჩნდა უმაღლესი კლასის ფეხბურთელი: "მესი ბურთით ისეთ რამეებს იგონებდა, რაც ფიზკის კანონებს არ ექვემდებარებოდა."

### ჰორმონალური პრობლემები

მესის კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ფეხბურთელს პრობლემები აქვს ზრდის დამმუხრუჭებელ ჰორმონებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მკურნალობის ფული გამოემუშავებინა (750 ევრო თვეში), ლიონელის მამამ კატალონიაში გადასვლა გადაწყვიტა. ამ დროისათვის "ბარსელონა" უკვე ლიონელის არაორდინარული ნიჭის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული და ოჯახს მკურნალობის ხარჯების დაფარვა შესთავაზა. ასე ჩაირიცხა მესი "ბარსელონას" საფეხბურთო სკოლაში.

### ახალი სამშობლო

ესპანეთში გადაბარგების მომენტისთვის ფეხბურთელის სიმაღლე სულ რაღაც 140 სანტიმეტრს შეადგენდა. პირინეებზე დაფუძნებულმა მესიმ დიდი სისწრაფით დაიწყო როგორც სიმაღლეში, ისე ზოგადი ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით ზრდა და 29 სანტიმეტრით გაიზარდა. პირველ სეზონში მესიმ 30 შეხვედრაში (სეგუნდადივიზიონში) 37 გოლი გაიტანა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სასწრაფოდ დაიწყო ფეხბურთელთან მოლაპარაკება ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში გამოსვლის თაობაზე.

### ისტორიული გოლი

2003 წლის ნოემბერში მესიმ "ბარსელონას" მთავარი გუნდის შემადგენლობაში, "პორტუს" წინააღმდეგ მატჩში, პირველი გოლი გაიტანა. პრიმერადივიზიონში კი მესის დებიუტი "ესპანიოლის" წინააღმდეგ შეხვედრაში შედგა, რომელიც "ბარსას" გამარჯვებით დასრულდა. მას შემდეგ მესიმ არაერთხელ ითამაშა "ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის მატჩში დონეცკის "შახტარის" წინააღმდეგ. "ალბასეტეს" კარში გოლის გატანით მესიმ, "როგორც" "ბარსას" მაისურით გოლის გამტანმა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა, საკუთარი სახელი ჩაწერა კატალონიური გრანდის ისტორიაში.

### დებიუტი ნაკრებში

გასულ ზაფხულს არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით მესიმ თავის უკვე ელვის სისწრაფიდ განვითარებად კარიერაში მომდევნო დიდი ნაბიჯი გადადგა. მესი ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რამაც მეტწილად განაპირობა კიდეც არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მისი გამოძახება. გასულ აგვისტოში არგენტინელთა დამრიგებელმა ხოსე პეკერმანმა ლიონელი უნგრეთის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გამოიძახა. თუმცა კი, დებიუტი არც ისე წარმატებული გამოდგა - შეცვლაზე შესული მესი სულ რაღაც 2 წუთში მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

### ახალი კონტრაქტი

კონკურენტებისგან თავის დაცვის მიზნით, რომლებიც მესის გადაბირებაზე ოცნებობენ, "ბარსელონამ" ამ ფეხბურთელთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა ის გახლავთ, რომ თუ მესი სხვა გუნდში გადასვლას გადაწყვეტს, მის მსურველ ახალ კლუბს "ბარსელონასთვის" 150 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. სხვათა შორის, იგივე პირობა უდევს კონტრაქტში რონალდინიოსაც.

კალათბურთი

# კალათბურთელებს ჩაცმას ასწავლიან

ჩრდილოეთ ამერიკულმა ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ხელმძღვანელობამ თავის სპორტსმენებს მითითება მისცა წესიერად ჩაიცვან და საზოგადოებაში თავი დაიჭირონ. ახალი წესები ძალაში პირველი ნოემბრიდან შევა, როცა NBA-ის მორიგი ახალი სეზონი გაჩაღდება.

სპორტსმენებს აიძულებენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საქმიანი კოსტიუმები ეცვათ, პიჯაკები, პერანგები, შარვლები, მაღალი დონის ფეხსაცმელები. ამასთან წინდები თეთრი არ უნდა იყოს. ჰალსტუხები კი სავალდებულო არ არის. ჯინსების ჩაცმა მხოლოდ დიზაინერული მარკებით არის შესაძლებელი და თან აუცილებლად კოსტიუმების თანხლებით.

აკრძალულია ფართო, უფორმო შარვლების ტარება და მაისურები მუხლამდე და სახელოების გარეშე. კაპიშონიანი ქურთუკები, ბოტასები, სანდლები და "ბათინკები", დაახლოებით ისეთი, როგორიც მშენებლებს აცვიათ. მძივები, თუნდაც ოქროსი იყოს, მედალიონები და სხვა სახის ძვირფასეულობაც რეკომენდირებულია სახლში დატოვონ. ამას გარდა, ნებისმიერი შენობის შიგნით აუცილებელია კალათბურთელმა მზის სათვალე მოიხსნას. მისიკის მოსმენა კი ყურსაცვამების გამოყენებით რეკომენდირებულია მხოლოდ გასახდელებში, ავტობუსში ან თვითმფრინავში.



NBA-ს მოთამაშეებს ქცევის ნორმები დაუდგინეს.

სათადარიგოთა სკამზეც კი მოთამაშეები ვალდებულნი არიან სპორტული ხალათებით ისხდნენ. ამ წესების დარღვევისთვის დაწესებულია ჯარიმა. თუმცა ლიგა ჯერჯერობით არ აცხადებს კონკრეტულად რა თანხით დააჯარიმებს წესის დამრღვევებს.

არადა ბევრი კალათბურთელი საკუთარ თავს ყოველდღიურ თავისუფალ ტანსაცმელში ხედავს და ვერ წარმოუდგენია თავი კოსტიუმებში, რომელიც მათ არასოდეს ჰქონიათ.

კრივი

# გაერთიანების გზაზე

კრივის მსოფლიო ორგანიზაციამ (WBO) ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ სურს თავისი ვერსიით გამართულ სატიტულო ბრძოლებში ცვლილებები შეიტანოს გაერთიანების სასარგებლოდ. ეს ცვლილებები არის ნაწილი იმ პოლიტიკის, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ატარებს გამაერთიანებელი ბრძოლების გასამართად. ორგანიზაციას სურს, გამოავლინოს აბსოლუტური ჩემპიონი და მას მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭოს.

ამრიგად, WBO-მ ჩაიფიქრა საკუთარ ჩემპიონებს გაერთიანების იდეა შთაუნერგოს და ამ მიმართულებით მთელი რესურსები გააერთიანოს. შეიერთოს სხვა სანქციონირებული ორგანიზაციები. მათ მიაჩნიათ, რომ გაერთიანებული ჩემპიონის ხილვა კრივის გულშემატკივართა ყველაზე საოცნებო მოვლენაა პროფესიონალურ კრივში.

ახალი წესების თანახმად მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მიიღებს უფლებას თვითონ აირჩიოს ტიტულის დასაცავად ვადები და სატიტულო ბრძოლისთვის საწევრო შესატანსაც შეღავათიანად გადაიხდის. რა თქმა უნდა, WBO-ის ვერსიით. ამჟამად აბსოლუტური ჩემპიონი ვალდებულია სატიტულო ბრძოლისთვის გადაიხადოს მთელი ჰონორარის სამი პროცენტი საწევრო გადასახადი. WBO-მ კი მიიღო გადაწყვეტილება ეს საწევრო შესატანი აბსოლუტურ ჩემპიონს ორჯერ შეუმციროს. ამ ახალი წესების შექმნით WBO ცდილობს, აღმოფხვრას გაუგებრობა გამაერთიანებელსა და სატიტულო ბრძოლებს შორის, როცა ჩემპიონს ტიტულს ართმევდნენ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყოდა WBO-ის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ვადებში ტიტულის დაცვაზე. ახალი წესების თანახმად კი აბსოლუტურ ჩემპიონს უფლება ექნება თვითონ დააწესოს ტიტულის დასაცავი ბრძოლის ვადა.



კრივის მსოფლიო ორგანიზაცია წესებს ცვლის.

ამ ახალი წესების შემოღებით WBO შეუერთდა კიდევ ერთ სანქციონირებულ ორგანიზაცია WBC-ის, რომელმაც ერთი თვით ადრე წინადადება გამოთქვა ოთხ წელიწადში ერთხელ მოხდეს ოთხი სანქციონირებული ორგანიზაციის ჩემპიონების გამაერთიანებელი ტურნირი. WBC-ის შემდეგ WBO-მ WBA-სა და IBF-ს წინადადებით მიმართა შეცვალოს წესები გამაერთიანებელი ბრძოლების სასარგებლოდ ოთხი ძირითადი ვერსიის კოორდინირებული მუშაობის მიზნით.

ინფოთეკა

## ზიდანმა შეიძლება სამი მატჩი გამოტოვოს

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა შეიძლება კლუბის სამი მატჩი გამოტოვოს. ამის მიზეზი საზარდულის ტრავმაა. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი საზარდულის არეში მძაფრ ტკივილს გრძნობდა. თუ განმეორებითი შემოწმება დიაგნოზს დაადასტურებს, მაშინ ზიდანი გამოტოვებს მატჩს ნორვეგიის "რუსენბორგთან". "ჩვენ გვსურს ნებისმიერი რისკი გამოვრიცხოთ - განაცხადა მადრიდის "რეალის" ექიმაა - თუ ზიდანი ტკივილს გრძნობს, მან უნდა დაისვენოს".

## "კაიზერის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელი დააჯარიმა

გერმანული "კაიზერსლაუტერნის" ბელმძღვანელობამ დაადარიმა გუნდის მწვრთნელი მიბაელ ეენკე იმის გამო, რომ მან გერმანიის თასის მატჩში შეურაცხყოფა მიაყენა მესამე დივიზიონის ბინადარი "როტ ვაისის" მოთამაშესა და მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს. მატჩის მსვლელობისას ეანკემ თავს უფლება მისცა აღმოსავლეთ გერმანული კლუბის მიმართ დამამცირებელი გამონათქვამები გამოეყენებინა. თამაშის შემდეგ "კაიზერის" კლუბის პრეზიდენტმა მეტოქე გუნდს კომპენსაციის სახით 12 ათასი დოლარის გადახდა აღუთქვა. როგორი იქნება სადარიმო თანხის რაოდენობა კლუბის ბელმძღვანელობას დერ არ გადაუწყვეტია. "მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდის ერთერთი ფებბურთელი გაზონზე იწვა, ფებბურთელებმა ერფურტიდან ბურთი მოედნის გარეთ არ გადააგდეს და თამაში განაგრძეს. ასე არ უნდა ბდებოდეს" - მატჩის შემდეგ აღშფოთებული ამბობდა ეენკე. "მან არა მბოლოდ ჩემს ფებბურთელებს მიაყენა შეურაცბყოფა, არამედ მთელ რეგიონს. მე მისი მოქმედებით უაღრესად დამწუბრებული ვარ" - განაცბადა "როტ ვაისის" მთავარმა მწვრთნელმა პაველ დოჩევმა.

## აშშ-ის ნაკრები ნოემბერში გლაზგოს ესტუმრება

12 ნოემბერს გლაზგოს "ჰემპდენ პარკის" სტადიონზე შოტლანდიის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში აშშ-ის გუნდს გაეჯიბრება. შოტლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფიასკო განიცადეს, ხოლო ამერიკელთათვის ეს ჩემპიონატი ზედიზედ მეხუთე გახდება. "შოტლანდიის ნაკრები ტრადიციულად ძლიერი გუნდია, ამიტომ თამაში საინტერესო იქნება" - განაცხადა აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბრიუს არენმა.

## კიმი "ბენფიკას" ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდება

ლისაბონის "ბენფიკისა" და პორტუგალიის ნაკრების მეკარე კიმმა წარმატებით გადაიტანა გრიჟის ოპერაცია და ის 100 პროცენტით დაუბრუნდება კლუბს რვა-ათ დღეში. "ოპერაციამ კარგად ჩაიარა" - განაცხადა ექიმმა ულრიკე მუშავეკმა - კიმი ვარჯიშს დღეიდან გააგრძელებს".

## ბუნტი პორტუგალიის "სეტუბალის" ბანაკში

პორტუგალიის "სეტუბალის" ფეხბურთელებმა ორშაბათს კლუბის დირექტორატს კონტრაქტების ანულირების შესახებ განცხადება წარუდგინეს. ამის მიზეზი კლუბის მიერ გაუცემელი ხელფასებია. 23-მა ფეხბურთელმა არ მიაქცია ყურადღება პორტუგალიური ლიგისა და პროფკავშირების რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ ლიგის მორიგი სხდომისთვის დაეცადათ, რომლის შემდეგაც კლუბს შეიძლებოდა კრედიტის სახით 275 ათასი ევრო გადასცემოდა. კლუბის ხელმძღვანელობას საკითხის გადასაწყვეტად სამი დღის ვადა აქვს.

# ბებია სიგარით

## აფრიკელი ედიტ პიაფი ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ თბილისს ესტუმრება

*მთელ მსოფლიოში მისი კონცერტები გადაჭედილ დარბაზებში იმართება. ჟანრს, რომელშიც იგი მღერის, მორნა ეწოდება. მორნა - ეს არის დარდი, ოღონდ ნათელი (რამდენადაც ეს შესაძლებელია იყოს), წუხილი წარმავალზე. მორნა ბლუზისა და ბრაზილიური საუდადის მსგავსია, უფრო სწორად, მათი ნაზავი. ეს კომბინაცია იზიდავს მილიონობით მსმენელს, რომელთა წყალობითაც მომღერალი "გრემის" ნომინანტებს შორის ხვდება, მისი ჩანაწერები კი მილიონობით ტირაჟით იყიდება. ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, კომპანია "თაგის არტი" თბილისში სესარია ევორას კონცერტს გვთავაზობს. საღამო დიდ საკონცერტო დარბაზში 29 ოქტომბერს გაიმართება.*

ვერა ნეფარიძე

სამი შვილის დედა, მშობლიური ქალაქი მინდელუს სიამაყე, სესარია ევორა ყველას ოცნების ბებიაა. აფრიკელი ედიტ პიაფი, 64 წლის ბებია კაბო-ვერდედან, მთელი ცხოვრება საპორტო ბარებში მღეროდა. პროფესიონალური კარიერა კი 47 წლის ასაკში დაიწყო. ამჟამად მისი საკონცერტო მოღვაწეობის საკმაოდ მდიდარი შემოსავლების ნახევარი ბავშვთა სოციალურ პროგრამებს ხმარდება. მისი სიმღერები სავსეა ერთი მხრივ, უბრალო, ადამიანური ბედნიერებით, მეორე მხრივ კი - უსასრულოდ ნათელი მწუხარებით. მიღებულია დახასიათება: სესარია ევორა მღერის სამოთხეში დაბრუნებულ ადამიანზე, რომელიც გრძნობს, რომ ყოველ წუთს შეიძლება დაკარგოს ის... მისი მუსიკა მათთვისაა, ვისაც ცეკვა არ უყვარს.

სესარია ევორა 1941 წლის 27 აგვისტოს საპორტო ქალაქ მინდელუში (კაბო-ვერდე), მუსიკოსის ოჯახში დაიბადა. 17 წლიდან მინდელუს ბარებში, ძირითადად, არქიპელაგში მორნების აღიარებული კლასიკოსის პოეტისა და კომპოზიტორის ლეზის ნაწარმოებებს ასრულებდა. 1975 წელს, როდესაც მისი სამშობლო ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ პორტუგალიის ბატონობისგან გათავისუფლდა და გადატრიალების შედეგად პრომარქსისტული რეჟიმი დამყარდა, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სესარიას გაუჭირდა სიმღერით თავის შენახვა. მომღერალს დეპრესიას კონიაკი და სიგარა უქრობდა. თუმცა, რეალური დახმარება მხოლოდ მეგობრებმა გაუწიეს. 1985 წელს სესარია დაითანხმეს, მონაწილეობა მიეღო მორნების კაბო-ვერდელი საუკეთესო შემსრულებლების ჯგუფური ალბომის ჩაწერაში. 1986 წელს ლისაბონში სესარია ევორას პირველი სოლო ალბომი ჩაიწერა. ამას მოჰყვა კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კაბო-ვერდელი



*ევორა თბილისელებს დაუვიწყარ საღამოს ჰპირდება.*

დიასპორებისთვის. მნიშვნელოვანი იყო სესარიას შეხვედრა მისსავე თანამემამულესთან, საფრანგეთში მცხოვრებ მელომანთან ხოსე და სილვასთან, რომელმაც გადაწყვიტა ეზრუნა ევორას კარიერაზე. შედეგად გამოვიდა ევორას პირველი ფრანგულენოვანი ალბომი. ამ ალბომით დაიწყო ევორას თანამშრომლობა Lusafrica-თან, რაც დღემდე გრძელდება. თავიდან ევორას პოპულარობა მისსავე თანამემამულეებს შორის იზრდება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია "ლიბერასიონისთვის" მომღერალზე აღფრთოვანებით დაეწერა. პოზიტიური გამოხმაურებების პარალელურად, პრესამ დაიწყო ამ ქალბატონის ცხოვრების დეტალების გაშუქება: ყურადღებას ამახვილებდა ევორას სიგარითა და კონიაკით გატაცებაზე, მოიხსენიებდა მომღერალს აფრიკელ ბილი ჰოლიდეიდ და ა.შ. პოპულარობამ საფრანგეთში ევორას გზა გაუხსნა პორტუგალიის, კანადის, ესპანეთისა და იაპონიისკენ...

ტურნეების დროს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მომღერლები ითხოვენ სესარიასთან დუეტებს. ექსპერიმენტებზე ეს ქალბატონიც სიამოვნებით თანხმდება. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ევორას 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ალბომს, რომელსაც ევროპაში აქტიურად უსმენდნენ. პოპულარობა მიღწევებშიც გამოიხატა - 1992 წლის ჩანაწერმა ოქროს დისკის სტატუსი მოიპოვა და ევორა გახდა მეორე აფრიკელი ქალბატონი მირიამ მაკებას შემდეგ, რომელმაც მსგავს წარმატებას მიაღწია. 1993 წელი საფრანგეთში სესარია ევორასთვის ტრიუმფალური აღმოჩნდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, სესარია არ ჰგავდა შანსონის ტრადიციულ შემსრულებელს. ამას გარდა, ფრანგებმა დააფასეს სესარიას "საუდაჯი". ეს სიტყვა მსოფლიოს არც ერთ ენას არ აქვს, პორტუგალიურისა და მისი დიალექტების გარდა. "საუდაჯი" ითარგმნება როგორც "სამშობლოს ნათელი სევდის გრძნობა". შეიძლება ცოტა გაუგებარია, მაგრამ არცერთ ბრაზილიელს, პორტუგალიელსა თუ ყოფილ კოლონია კაბოვერდეს მცხოვრებს საკუთარი თავი მის გარეშე ვერ წარმოუდგენია. სესარიამ არ იცის, როგორ ახსნას ის. ერთადერთი ენა, რომელსაც მომღერალი ფლობს - ეს კრეოლია - უცნაური დიალექტი.

1995 წელს სესარიამ ოკეანეც წარმატებულად გადალახა, როდესაც მისი ტურნე მოეწყო ამერიკაში. მისი ალბომი "სესარია", საფრანგეთში ოქროს დისკის სტატუსის მფლობელი, აშშ-შიც არანაკლებ პოპულარული გახდა. ამავე წელს ჩაიწერა ტანგო Ausencia, რომელიც კუსტურიცას "ანდერგრაუნდში" ჟღერს.

ერთხელაც ბებია სესარია, რომელმაც სამი მეუღლე დაკარგა, დაიღალა გასტროლებით და გადაწყვიტა, მეტი დრო სტუდიაში გაეტარებინა. იგი კვლავინდებურად ეწევა სიგარას, მაგრამ ვეღარ სვამს. იმიტომ, რომ აღარ შეუძლია. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ევორა დაგვთანხმდა თბილისში საკონცერტო გამოსვლაზე. საინტერესოა, რამდენად დააფასებს მომღერალს ქართველი მსმენელი, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩვენში არც ისე ცოტაა.






## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის
## განცხადება

2005 წლის 7 ოქტომბერს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა დახურული ტენდერი ავტოსათადარიგო ნაწილებისა და ავტოტექმომსახურების სამუშაოების შესასყიდად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმებთან:

შპს "თეგეტა მოტორსი"

ინდ. საწარმო "ლევან ჩოჩია"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფ. კიცხის სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის კიცხის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **კიცხის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხარაგაულის რაიონი, სოფელ კიცხის სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი:კიაზო გამრეკელაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 31 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი, სოფელ კიცხის სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი: კიაზო გამრეკელაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 28 ნოემბერს 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ენგურჰესი" ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89 .
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და რეკვიზიტები)
აცხადებს ღია ტენდერს სადაწნეო გვირაბის მისასვლელი შტოლნების
(ღია, დახურულ) (შესასყიდი საქონელის და თანმდევი

გაუსაფრთხოების სამუშაოების ჩატარებაზე. (დასუსტებული და გამოფიტული კლდოვ- ანი ქანების მოხსნა შტოლნის თაღიდან და კედლებიდან, ძირის გაწმენდა და ტრანს- პორტირება; ბეტონის მოსახვის მოწყობა შტოლნის ბოლო მონაკვეთზე; ფილტრაციული და კარსტული წყლების ორგანიზებული გაყვანის უზრუნველყოფის ღონისძიებების გან- ხორციელება; შემავსებელი ცემენტაციის განხორციელება შტოლნის ბეტონით მოპირკე- თებულ უბანზე. შესასრულებელი სამუშაოების 80% განთავსებულია წალენჯიხის რაი- ონში, ხოლო 20% გალის რაიონში). მომსახურების მოკლე აღწერა)

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: 10-12 თვე.
(სავალდებულო ან სასურველი ვადაა)

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 18 ნოემბრის 14 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი).

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში.

დ) ცნობა წამყვანი სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ.

ე) სამუშაოებისათვის აუცილებელი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობი- ლობების ჩამონათვალი (გამოშ. წელი, ტექ. მდგომარეობა და დამამზა-დებელი ქვეყანა).

ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

ზ) ცნობა საწარმოოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ (წლიური ბრუნვა, აქტივები, პასივები, წმინდა მოგება).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში 2005 წლის 25 ნოემბრის 16.00. საათამდე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ჯეირან არონია ტ. (877) 76 20 99, ფ. (215) 301 80.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ------------------------------

# ავსტრიის დამოუკიდებლობის დღე საქართველოშიც აღინიშნა

წლევანდელი 26 ოქტომბერი ოთხშაბათს დაემთხვა, თუმცა ავსტრიაში გამომავალ ყველა კალენდარში ეს თარიღი წითლადაა აღნიშნული. ამ დღეს სრულიად ავსტრია დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს და უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულადაა მიჩნეული - დამოუკიდებლობის დღეს მთელ ქვეყანაში დიდი პომპეზურობით ზეიმობენ.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში ავსტრიის საკონსულომ სადღესასწაულო მიღება გამართა.

საღამო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა, ხოლო მთავარი


ევა ბერგერი და სანდრა რულოვსი.

დიასახლისი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი კონსული ევა ბერგერი იყო. ეს ქალბატონი უკვე დიდი ხანია, საქართველოშია და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს, ამიტომ მიღებაზე დიპლომატიური კორპუსის გარდა, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიც მიიწვია.

ევა ბერგერი სტუმრებს შტრაუსის ვალსის ფონზე იღებდა, ხოლო საღამოს მეორე ნაწილში ქართული ფოლკლორი აჟღერდა, რომელსაც ანსამბლი "კვინტეტი ურმული" ასრულებდა - ეს იყო მათი საჩუქარი ავსტრიელი ხალხის მიმართ.

მიღებაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოში არსებული სხვადასხვა საელჩოების წარმომადგენლები. სტუმრად მოვიდნენ საქართველოს პირველი ქალბატონი სანდრა რულოვსი, თბილისის მერი გიგი უგულავა, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, პეტრე მამრაძე, უცხოელი და ქართველი ბიზნესმენები, აგრეთვე სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები.

მიწვეულ სტუმრებს ავსტრიული ეროვნული კერძებით და სასიამოვნო გარემოთი შეეგებნენ.

# ლაშა და პარლამენტი

**ლაშა ბუღაძე**: ჩვენი სტუმრები არიან პარლამენტარები ლევან ბერძენიშვილი და ბესო ჯუღელი. საუბრის თემაა ახალი საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება. ფრაქციის შექმნის მოტივი ერთი ვერსიით ის იყო, რომ რეოლუციის დროს აქტუალური ფასეულობები ხელისუფლების მხრიდან ნიველირებული იქნა. ბატონო ბესო, ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას მართლაც დაავიწყდა ეს ფასეულობები?

**ბესო ჯუღელი:** ეს აზრი საზოგადოებაში, მართლაც, გაჩნდა, მაგრამ მე ამის მიზეზებს ვერ ვხედავ. ამიტომ მჭირდება ოპოზიცია, რომელიც მიმითითებს ამ ფაქტორებზე.

**ლევან ბერძენიშვილი:** ბატონი ბესო არ არის უმრავლესობის ის კლასიკური წარმომადგენელი, ვისთანაც ჩვენ ჭიდილი გვიწევს. თანაც იგი ფორმალურად არ არის უმრავლესობის წარმომადგენელი. ოპოზიცია ქვეყანას სჭირდება და არა მხოლოდ პარლამენტს. გარდა ამისა, ოპოზიციასთან ჭიდილში უმრავლესობაც ძლიერდება და ამასობაში იბადება საღი აზრი. დანაპირებს ვერასდროს ვერ ასრულებენ, რადგან ხელისუფლებაში მოსვლისას ყველას მეტის გაკეთება შეუძლია. მერე აღმოჩნდება, რომ რაღაც გარემოებების გამო ამის საშუალება არ გაქვს. ვიცი, რომ ხელისუფლებას უნდა დაარიგოს მეტი ხელფასი და პენსია, მაგრამ ამის საშუალება არ აქვს. დანაპირების შესრულება - ეს განსაკუთრებული ოსტატობაა, რომლის მხოლოდ ნაწილია შესრულებული, მაგრამ დანაპირების დემოკრატიული ნაწილი არ შესრულებულა. არ არსებობს სიტყვის თავისუფლებისთვის ხელშეწყობა - პირიქით, ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც წყვეტენ, ვინ წაიყვანს ამა თუ იმ გადაცემას, ვის მოიწვევენ ტელეეთერით და ა.შ. ამას ხედავს მოსახლეობაც. ამ მხრივ, მოსახლეობის ვალი მხოლოდ ხელისუფლებას კი არა ოპოზიციასაც გვაქვს, რადგან ამ დაპირებების მიცემისას ჩვენც დღევანდელი უმრავლესობის გვერდით ვიდექით. ამიტომ ახალი ფრაქციის შექმნა ამ პასუხისმგებლობის აღიარებასაც ნიშნავს. ახალ ფრაქციაში გაერთიანება რიგი პრინციპების დათმობასაც მოითხოვს. ჩვენ ერთადერთი რამ გვევალება - შევასრულოთ ჩვენ მიერ აღებული პასუხისმგებლობა.


ბესო ჭუღელი

**ლაშა ბუღაძე:** ბატონო ბესო, თქვენ რამდენად ამჩნევთ ამ სკეფსისს მოსახლეობაში?

**ბესო ჯუღელი:** ხელისუფლებაში მოსვლისას დღევანდელი ოპოზიციაც ენთუზიაზმით გაარიგებს დაპირებებს და შემდეგ შეექმნება ის პრობლემები, რომელსაც მხოლოდ ოპოზიცია თუ შეამჩნევს. ეს მთელ მსოფლიოში ასეა. ქართველები მაქსიმალისტები ვართ და ყველა დანაპირების შესრულება ერთ დღეში გვინდა. ჩვენ ხელისუფლებაში იმ იდეოლოგიით არ მოვსულვართ, რომ ყველა პრობლემა ერთ წელიწადში უნდა გადაწყვეტილიყო. მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი შეცდომა ის იყო, რომ მოსახლეობას არ აუხსნა, რა თანმიმდევრობით აპირებდა დანაპირების შესრულებას.

**ლაშა ბუღაძე:** ასევე იყო დაპირებები, რომლებიც პრეზიდენტს დაავიწყდა. მაგალითად, არჩევითობა, თვითმმართველობა. ასევე არჩევისას პრეზიდენტი თავის ჩინოვნიკებს დაპირდა, ერთ წელიწადში თქვენს ბინებს დავივლი და ვნახავ, რამდენად შეესაბამება თქვენი ხელფასი თქვენს ქონებასო. ეს არის დაპირებები, რომლებიც უნდა შესრულდეს.

**ლევან ბერძენიშვილი:** იმაში, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში არის შუალობითი არჩევნები, ბატონ ბესოს ვერაფრით შევედავები. უბრალოდ, უნდა ვნახოთ, იქ როგორაა მდგომარეობა. ანუ, რას მოგვცემდა პირდაპირ არჩეული მერი? მოგვცემდა მეტ დემოკრატიას. იმ ქვეყნებში, სადაც ჭარბადაც აქვთ დემოკრატია, აქვთ შუალობითი არჩევნები, რადგან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პირდაპირ აირჩევენ თუ არა. საქართველოში კი ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აქ ხდება გასაოცარი რამ, აქ გვიკრძალავენ, ხალხს ვკითხოთ აზრი - როგორ ურჩევნია. არგუმენტი ასეთი აქვთ: ეგ საკითხი არ არის მნიშვნელოვანიო. არადა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ვიცით კიდეც პასუხი, თუ რატომ არ უნდა ეს საქართველოს არც ერთ პრეზიდენტს; იმიტომ, რომ ასეთ ქვეყანაში თბილისის მერი სერიოზული კონკურენტია და არ უნდათ კონკურენტი. მერედა, რამ შეაშინა ხმათა 96 პროცენტით არჩეული პრეზიდენტი? ჰყავდეს სერიოზული კონკურენტი...

**ბესო ჯუღელი:** ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში 87 პროცენტით იყო მოსული. ეს არც მას უნდოდა. თქვენც რომ მოხვალთ ხელისუფლებაში, ალბათ, თქვენც სხვანაირად ილაპარაკებთ.

**ლევან ბერძენიშვილი:** მე პრეზიდენტად არ მოვალ, მაგრამ გაძლევთ სიტყვას, რომ ის ძალა, სადაც მე ვიქნები, ხალხის მიერ არჩეული თბილისის მერის მომხრე იქნება.

**ბესო ჯუღელი:** არის თუ არა საშიშროება იმის, რომ დღეს სააკაშვილს პირდაპირ არჩეულმა მერმა გაუწიოს მეტოქეობა? პრაგმატულად რომ ვიმსჯელოთ - არა.

**ლევან ბერძენიშვილი:** გააჩნია, ბატონო ბესო. ჩვენ განწყობების ხალხი ვართ. შეიძლება, ერთ დღეში შევქმნათ პრეზიდენტი და მეორე დღეს დავივიწყოთ. მეც და, მგონი, თქვენც გვახსოვს კარგად, რომ მიხეილ სააკაშვილს არ ეჩქარებოდა პრეზიდენტობა, არ უნდოდა ეს იმ ეტაპზე. ისტორიამ უკარნახა მას და აიძულა. ცდება, ჩემი აზრით, როცა არ ზრუნავს იმაზე, რომ გააჩინოს კონკურენტი; ის კაცი, ვისთანაც ხალხი გაუყოფს მაინც მას პასუხისმგებლობას; ვისი გამოჩენის შემდეგაც ხალხს შედარების საშუალება ექნება. კონკურენცია არასდროს არ გვქონია.

თბილისის მერი კი ამ კუთხითაც იქნებოდა საინტერესო სახე. მაგალითად ჟაკ შირაკი იყო პარიზის მერი, ის დღეს არ არის ცუდი პრეზიდენტი.

**მსმენელი:** რა უარყოფით მხარეებს ხედავს ბატონი ბესო მერის პირდაპირ არჩევაში?

**ლაშა ბუღაძე:** ანუ, რამდენად არის ეს განპირობებული პრეზიდენტის ფობიებით.

**ბესო ჯუღელი:** დარწმუნებული ვარ, თქვენც იცნობთ პრეზიდენტს და ბატონი ლევანიც დამეთანხმება, რომ მას ფობიები არ ახასიათებს. რაც შეეხება არჩეულ მერს, ეს ბატონ ლევანს უნდა დღესვე.

**ლევან ბერძენიშვილი:** იმედს არ ვკარგავ, რომ ეს მალე მოხდება, რადგან არჩეული მერი თბილისში ეს ნამდვილად იქნებოდა დემოკრატია თბილისში მაინც. რადგან ჩვენ არავინ გვყავს არჩეული არც ბათუმში და არც სხვა ქალაქებში. და თბილისი, როგორც დემოკრატიული ქვეყნის დედაქალაქი, რა თქმა უნდა, უნდა ირჩევდეს თავის მერს... მაგალითად, თუ მოსკოვის მერს ირჩევენ, არა მგონია ეს პრეზიდენტს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდეს.

წინათ ჩვენ ერთად ვისხედით და განვხილავდით, როგორ შევქმნათ დიდი კოალიცია და როგორ დავპატიჟოთ ამ კოალიციაში ჯუმბერ პატიაშვილი; მიუხედავად იმისა, რომ ყველას კარგად გვესმოდა ის სირთულეები, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს. კარგად გვესმოდა, რომ ერთი მხრივ, გვეყოლება ზვიადისტური ფრთა და მეორე მხრივ - პატიაშვილი. გამოდის, რომ მათ შორის ჩვენ ვკისრულობდით შუამავლის ფუნქციას. ამას თუ ადრე ვახერხებდით, ახლაც მოვახერხებთ

**ლაშა ბუღაძე:** დავუბრუნდეთ დაპირებებს.

**ბესო ჯუღელი:** არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი საკითხი, რასაც ჰქვია პრეზიდენტის უსაფრთხოება. მას სე- [illegible]

**ლაშა ბუღაძე:** ნინოიშვილები, რომლებიც პირადი მიზნებისთვის იყენებენ პოსტებს. თბილისის ცენტრალურ უბნებში წამოიჭიმა მათი ბინები. არის ლაპარაკი იგივე კეზერაშვილის სიმდიდრეზე, იგივე ბექაურისა, რომელიც სრულიად ოდიოზურ ფიგურად იქცა.

**ბესო ჯუღელი:** ბექაურზე შეიძლება ნაწილობრივ დაგეთანხმოთ, მაგრამ კეზერაშვილზე პირველად თქვენგან მესმის, მე არ გამიგია.

**ლევან ბერძენიშვილი:** უსაფრთხოების არგუმენტი ძალიან ბევრ რამეს ხსნის. მაგრამ ეს არგუმენტი მოქმედებს დიდი ხანია. ამხანაგ სტალინსაც უყავრდა ხალხი და ბავშვები, მაგრამ უსაფრთხოების ამოცანები აიძულებდა გარეთ არ გამოსულიყო. სინამდვილეში საქართველოს პრეზიდენტი არღვევს უსაფრთხოების ყველა კანონს. ღამის სამ საათზე შეიძლება რომელიმე კორპუსთან გამოჩნდეს ნასვამ მდგომარეობაში. სინამდვილე სულ სხვაა...

ენა, პრეზიდენტის გამოსვლები საზეიმო დღეებში არ ჰგავს ჩემი პრეზიდენტის გამოსვლებს და არ უნდა ველოდე იმას, რომ კერძო მოქალაქეებს თავს დაესხას. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენი პრეზიდენტი ძალიან ახალგაზრდაა და ირგვლივ ჰყავს თავისზე უფრო ახალგაზრდები.

თუ იპოვის ხელისუფლება სხვა ტონალობას, სხვა ენას ხალხთან სასაუბროდ, რა თქმა უნდა, არავინ არ დაახრჩობს დანაპირებების შეუსრულებლობისთვის. მაგრამ თუ თან დანაპირებს არ შეასრულებენ და თან დაგცინინონ და გითხრან, რომ არც გექნება და არც გქონია, ამ შემთხვევაში ეს იწვევს იმას, რაც ცოტა ხნის წინ ხელისუფლებისთვის ცივი შხაპი იყო - ვგულისხმობ იმ დღეს, როცა სალომე ზურაბიშვილმა ერთი დაძახებით საკმაოდ ბევრ ხალხს მოუყარა თავი.

**ბესო ჯუღელი:** ოპოზიციამ დღეს დაინახა, მგონი, სალომე ზურაბიშვილი. აქამდე რატომ ვერ ხედავდით მას? მე ის თავიდანვე არ მომწონდა.

**ლევან ბერძენიშვილი:** მე კი თავიდანვე მომწონდა.

**ბესო ჯუღელი:** პრეზიდენტი იყო კატეგორიული წინააღმდეგი მისი გადაყენების. მერე გვითხრა, მაინც მას შევხვდებიო, მოდით რვაზე და გეტყვით პასუხსო. რვაზე რომ მივედით, ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მისი დარჩენის. ეს არის ქალი - ამბიციის ბუდე. მე ვუთხარი მიშას, შენი ბრალია იმიტომ, რომ შენ გახასიათებს ადამიანის ცაში აყვანა.

**ლაშა ბუღაძე:** რა შეიძლებოდა მომხდარიყო იმ ერთ საათში?

**ბესო ჯუღელი:** უთხრა, რომ დაშალე პარლამენტი, ყველა უღირსია, ყველა კორუმპირებულია. არ შეიძლება პრეზიდენტს ამ ენით ელაპარაკო.

**ლევან ბერძენიშვილი:** მართვის ყველაზე დიდი ოსტატობა არის, როცა ცხოვრება მოგთხოვს იმას, რაც შენ ისედაც გინდა. სააკაშვილს მოთხოვეს ის, რაც ისედაც უნდოდა - ზურაბიშვილის გაშვება. ეს სურვილი [illegible]




ლაშა ბუღაძის სვეტი

# პატრული



23:45 ოჯახური დრამა.

/ქალი და კაცი საწოლზე წვანან და ერთმანეთს ეხვევიან. სრული სიბნელეა. პატრულის პოლიციელები ბინაში ექვსი წლის ბიჭთან და ჭაღარათმიან კაცთან ერთად შერბიან. ქალი კივილით წამოხტება საწოლიდან. კაცი თავზე გადაიფარებს საბანს/

**პატრული**. /ქალს, რომელიც კივის/ აი! მთელი საქართველო გხედავს... უზნეო შენა!.. ხო გამოგაჭენეთ მთელი ქვეყნის დასანახად! ქმარს რო ღალატობდი... ამ უწესიერეს და უპატიოსნეს კაცს... /ჭაღარათმიან კაცზე მიუთითებს/ რახან ასაკით შენზე უფროსია, რქები უნდა დაადგა, გათახსირებულო შენა?!.. მთელი საქართველო გხედავს!.. კიდე კაი ვიდეო-პატრული არსებობს!.. ბავშვმაც ნახოს, როგორი დედა ჰყოლია... იტირე! შვილო!.. /ექვსი წლის ბავშვი პატრულის ბრძანებისამებრ ატირდება/

**ქალი.** /ფანჯარასთან მივარდება/ გადავხტები... თავს მოვიკლავ!

**პატრული**. გადახტი და გადაგარჩენთ! მაგრამ ტელევიზიითაც გამოგაჭენებთ... საღამოსაც გამოჩნდები ტელევიზორში და ღამითაც... გვიან ღამითაც ხო იმეორებენ ვიდეოპატრულს?

**სასწარკვეთილი ქმარი**. კი... იმეორებენ.

**ექვსი წლის ბიჭი**. /ტირილით/ ტელევიზორში მართლა გამოვჩნდებით?

**პატრული**. /ბიჭუნას/ კი, შვილო, აბა რა!.. /მივარდება საბანგადაფარებულ მამაკაცს/ ერთი ვნახოთ, აქ ვინ გაწოლილა... გადაუღეთ ამასაც!

**მამაკაცი.** /საბნიდან/ არა გაქვთ უფლება... ჩემს ადამიანურ... მოქალაქეობრივ... ბოლო-ბოლო, ფიზიოლოგიურ უფლებებს არღვევთ!

**პატრული.** ამას ჯობდა, ამ საწყალი კაცის უფლებებზე გეფიქრა! ამაზრზენო შენა!.. /სასოწარკვეთილ ქმარზე მიუთითებს /გადაიღეთ... დაანახეთ საქართველოს, როგორ განიცდის... რას გავს... ალბათ, ახლა ქვითინსაც დაიწყებს...

**სასოწარკვეთილი ქმარი**. /სკამს დაავლებს ხელს, ცოლისკენ გაიწევს / მოვკლავ!

**პატრული**. /ცოლსა და ქმარს შორის ჩადგება. ოპერატორს უყვირის/ გადაგვიღე, ბიჭო!.. /სასოწარკვეთილ ქმარს/ ცოლს ნუ, ბატონო... მე ჩამარტყით... დაინახოს ჩვენმა ტელემაყურებელმა, რომ გმირები ვართ პატრულები!.. ბავშვმა რატო შეწყვიტა ტირილი?.. /ბიჭუნას/ იტირე, გოგო!.. გოგო ხარ შენ თუ ბიჭი?

**ექვსი წლის ბიჭი**. არ ვიცი... დაბნეული ვარ... ჯერ ეგ არ გაგვივლია სკოლაში... პირველ კლასში ვარ... მაგრამ მაინც ვიტირებ... /ტირის/

**პატრული.** /თანაშემწეს მიმართავს/ დაამშვიდე ბავშვი!.. /ოპერატორს/ გადაიღე, როგორ ამშვიდებს პატრული ბავშვებს...

**სასოწარკვეთილი ქმარი**. /ახრჩობს ცოლს/ მოგკლავ... მოგკლავ...

/ოპერატორს/ ნუ მიღებთ... ჩემი გაჭირვებაც მეყოფა...

**ქალი.** /ხრიალებს. ასევე ოპერატორს მიმართავს/ ნუ მიღებთ, კაცო... ნუ...

**პატრული.** დაამშვიდეთ... თქვენ ნუ ღელავთ ამაზე!.. /სასოწარკვეთილ ქმარს/ ჯობია მტკვარში გადახტე, ჩემო ბატონო.. მდინარიდან ყოველ დღე ამოგვყავს თვითმკვლელები - იქ [illegible]... დედას ვუტირებ!.. მთელ ქვეყანაში [illegible]

**პატრულის მეორე პოლიციელი**. /თავზე საბანგადაფარებულ კაცს მიმართავს/ (ცოლი გაცვალე?)

**კაცი.** /საბნიდან/ კი... კი... ჯანდაბა ჩემ თავს!

**პატრულის მეორე პოლიციელი.** დაგინახოს მერე! რას იმალები?.. გადაგიღებთ... ნათესავებიც დაგინახავენ... ისიამოვნებენ...

**კაცი.** /საბნიდან/ დაახრჩო?

**პატრულის მეორე პოლიციელი.** ჯერ არ ვიცი... ნახავ მერე, ტელევიზორში...

**კაცი.** /გადაიძრობს საბანს, შიშველი გავარდება კარისკენ/ რა მინდა მე ეთერში!..

**სასოწარკვეთილი ქმარი**. /ცოლს თავს დაანებებს/ ჩემი მძღოლი ყოფილა... /ცოლს/ მძღოლთან მღალატობდი, შენი დედის, ბოდიში და...

**პატრული.** გიჩენს ამოვჭრით.

**ქალი.** /ტირის/ რა მექნა... მოვკვდე ამ სერიალების ყურებით...

**პატრული.** /ოპერატორს/ გადაიღე!.. სახეზე გადაიღე... დაიმახსოვრონ მაყურებლებმა... /თავის თანაშემწეს/ დაიჭირეთ ის კაცი?

**პატრულის მეორე პოლიციელი.** კი... სადარბაზოში... კიბის მოაჯირს მივაბით...

**პატრული.** გადაუღეთ, მერე, მაგასაც!

**პატრულის მეორე პოლიციელი.** სამი კამერით გადავუღეთ, უფროსო... ყველა კუთხიდან.

**პატრული.** ბავშვი ვის მივაკუთვნოთ... ბავშვი?!.. /ოპერატორს ცოლ-ქმარზე მიუთითებს/ გადაიღე ამათ!.. /ექვსი წლის ბიჭს ეკითხება/ ვისთან გინდა დარჩენა?

**ექვსი წლის ბიჭი.** /ტირილით/ მძღოლთან... მძღოლის ვარ მე...

**პატრული.** /ოპერატორს/ გადაიღე?

**ოპერატორი.** კი! გადავიღე...

**პატრული.** ხოდა! წავედით აბა... /ცოლ-ქმარს/ კარგად იყავით...

ტელევიზორის ყურება არ დაგავიწყდეთ ოღონდ ამ საღამოს!




ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველ 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ლუდს (რქანთილი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207